

ვახტანგ ჭავჭავაძე

ხსოვნის  
წესი.

XII



ვახტანგ ჭანკოტაძე

ნიგნი ეძღვნება ანგარიდაცვლილების  
სსოფლას

# რსულობები მისამართი

ნაწილი მეთორმეტე

თბილისი  
2021

**რედაქტორი ცისანა (ნაზი) ფოცხვერაშვილი**

**კომპიუტერული  
უზრუნველყოფა შალვა მურადაშვილი**

**წიგნი გამოიცა აწერდაცვლილთა ოჯახების წევრების,  
ახლობლებისა და ავტორის ერთობლივი ძალისხმევით**

**მზადდება გამოსაცემად  
XIII წიგნი**

# პირველი საბან

წინამდებარე წიგნის პირველი ნაწილის გამოსვლის შემდეგ (იხილეთ საქართველოს ეროვნულ (ე.წ. „საჯარო“, ქ. თბილისი) და გორის ბიბლიოთეკებში და ასევე გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში), მრავალმა ადამიანმა დამირეკა და თავისი მოსაზრება გამიზიარა. ბევრმა მადლობა მითხოა კარგი წიგნისა და მისი ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ზოგმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ წიგნი არ არის გაყიდვაში, მაგანმა შენიშვნები და რჩევები მომცა და ა.შ.

მრავალრიცხოვან სატელეფონო საუბრებში და პირადი შეხედრების დროს გამოიკვეთა მთავარი – მოსახლეობის დიდ ნაწილს სურს გაგრძელდეს წიგნის გამოცემა და მასში ადგილი დაიმკვიდროს არამხოლოდ ე.წ. გამორჩეულმა და პოპულარულმა აწერდაცვლილმა ადამიანებმა (ბიოგრაფიული მონაცემები, ფოტოსურათები და ცხოვრებისეული საინტერესო ეპიზოდები), არამედ ყველამ, ვისი სახელის ხსოვნის უძვდავყოფასაც მოისურვებენ ოჯახის წევრები და ახლობელ-ნათესავები თუ მეგობრები.

ვფიქრობ, რომ ასეთ წიგნთა კრებული (კატალოგის სახით) იქნებოდა გორის ისტორიის მნიშვნელოვანი დაკუმუნტური ნაწილი, რაც მომავალ თაობებს მისცემს შესაძლებლობას, ბევრი რამ გაიგოს წინაპართა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

გავითვალისწინე რა საზოგადოების დიდი ნაწილის სურვილი, მკითხველს კთავაზობ „ხსოვნის წიგნის“ („...და ვანთებ სანთელს“) მეთორმეტე ნაწილს.

მიმდინარეობს მასალების მოძიება და მომზადება წიგნის მეცამეტე ნაწილისათვის (ქ. გორი, სტალინის 24, ბინა 6. ტელ: 27-81-81, 593 62-17-56).

## შინათმა

საქართველოს ეროვნულ (საჯარო) და გორის ბიბლიოთეკების ფონდებში განთავსებულ „ხსოვნის წიგნებში“ (პირველი სამი წიგნის სახელწოდება „და ვანოებ სანთელს“) წარმოდგენილ ადამიანებს ვეღარ ჩავხეუტებით და ვეღარ გავამხნევებთ... შორს წასულან, თუმცა, მაინც ახლოს არიან; სათითაოდ და ცალ-ცალკე წასულებს ერთად ვხედავ და მადლიერებით ვიდრეპ მუხლს მათი ხსოვნის წინაშე ყველაფერი იმისათვის, რაც გორის, გორელებისა და ქვეყნისათვის გააკეთეს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში.

ისინი დღეს ჩვენთვის მდუმარე კოპორტაა, რომელიც პვლავ იბრძვის, მიწაზე დატოვილი სიკეთის კვალით, ადამიანთა კეთილდღეობის, სრულყოფისა და ამქვეყნიურ ცოდვათა მონანიებისათვის.

დაუ. ეს მოკრძალებული წიგნი იყოს ჩვენი ყველას დიდი მადლიერების გამოხატვის მცდელობა მათ მიმართ, ვინც ბინა დაიდო სამუდამო სასუფეველში. დაუ, ეს წიგნი იყოს ჩვენი მცირე წვლილი მათი ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში.

თვალწინ მიდგანან ისინი და ასე მგონია და მეჩვენება, რომ მაღლააწეული ჩირალდნებით კვლავ გვინათებენ ჩაბნელებულ და ჩახლართულ ცხოვრებისეულ ლაბირინთებს.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ჩვენგანი წარმოადგენს „ინდივიდუალურ სამყაროს“ თავისი გარეგნული იერით, გმირიკური თავისებურებებით, ცხოვრების წესით, ადამიანებთან ურთიერთობების გზებით, მოვლენებზე რეაგირებით, სიყვარულით, ბრძოლისუნარიანობით, ერთგულებით, პატიოსნებით, პატრიოტიზმით, იუმორის გრძნობით, წარსულისა და აწმყოს შეფასების უნარით, წარსულის გათვალისწინებით და ა.შ.

ყოველი ჩვენგანი არის ერთადერთი. გვახსოვდეს, რომ  
ზუსტად ჩვენაირი არ არსებობს, არ ყოფილა და არც  
იქნება. სწორედ ამიტომ ღრმად მწამს, რომ იმქვეყნად  
წასულების ხსოვნის უკვდავყოფა არის ცოცხალთა უწ-  
მინდესი და უმნიშვნელოვანესი ღვთაებრივი მოვალეობა.  
ბეჭარავდეს უფლის მადლი.

„...თვითეულ ჩვენგანს ბედისწერის  
აქვს საფეხური,  
ის კი არ ვიცით, რა სიმაღლეს  
უდგას თავდებად,  
სიცოცხლე იყოს გინდ უტკბესი,  
გინდ უპეთური,  
სადღაც იწყება და ასევე  
სადღაც მთავრდება.

იმედით ვცოცხლობთ, რომ ადგილი  
ჩვენი ცაშია...  
ერთხელ ჩატყდება საფეხური  
თუნდაც მეფური,  
ყველა ჩვენგანი დღენიადაგ  
იმის ცდაშია,  
რაც შეიძლება მაღლა იყოს  
„ის“ საფეხური.

აგური

# ანანიაშვილი ოთარი

„გინც წრფელი გულით,  
პატიოსნებით რაიმეს შექმნის,  
იყო და არის შემოქმედი  
ახალი ქვეყნის...“  
(გალაკტიონი)

ოთარ ანანიაშვილი გახლ-  
დათ პარტიულ-სამეურნეო-საზო-  
გადოებრივი სფეროების თვალ-  
საჩინო მოღვაწეთა კოპორების  
ერთეულთი ბრწყინვალე წარმო-  
მადგენელი, რომელმაც მთელი  
თავისი ცხოვრება და შესაძ-  
ლებლობები უშურველად მი-  
უძღვნა მშობლიური ხალხისა  
და ქვეყნის კეთილდღეობის საშ-  
ვილიშვილო, ისტორიულ საქმეს.

ბატონი ოთარი დაიბადა მთე-  
ლი მსოფლიოსათვის დაბატულ პერიოდში, 1915 წლის 18 ნოემბერს  
ქ. თბილისში, მოსამსახურეთა ოჯახში.

მისი მშობლები დავით გასილის ძე ანანიაშვილი და ელენე კონ-  
სტანტინეს ასული თეთრაძე პროფესიით პედაგოგები იყვნენ და ემ-  
სახურებოდნენ მომავალი თაობების აღზრდა-განათლების უმნიშ-  
ვნელოვანეს საქმეს.

ოთარ ანანიაშვილი მცირე ასაკიდანვე გამოირჩეოდა სწავლისად-  
მი დაუკეტებლი ლტოლვით. საშუალო სკოლის დამთავრების შემ-  
დეგ ისწავლა და დამთავრა ელექტროტექნიკური ინსტიტუტი და  
დაუყოვნებლივ შეუდგა შრომით მოღვაწეობას.

კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ქვეყნის ხელმძღვანე-  
ლობას კადრების მომზადების, შერჩევისა და განაწილების განსა-  
კუთრებული სისტემა და პრინციპები ჰქონდა – გამოცდილ და ენერ-  
გიულ კადრებს აგზავნიდნენ იმ ობიექტებზე, სადაც ყველაზე მეტად  
უჭირდათ გეგმების შესრულება.

აი, ის მოქლე ჩამონათვალი, სადაც იმუშავა ოთარ ანანიაშვილმა  
და სადაც დატოვა წარმატების კვალი; კვალი, რომელსაც გზადაგ-  
ზა მაღალ შეფასებას ამლევდა ხელისუფლება, რაც ოთარისთვის



1941 წ.

ორდენ-მედლების, სიგელებისა და მადლობების გადაცემა-დაჯილდოება-წარდგენაში გამოიხატებოდა: მინერალურ წყლებში (ჩრდ. ქავკასია) სატრანსლიიაციო საკონტაქტო ინჟინერი; თბილისში იგივე სტატუსით (1941 წ.); ამიერ-კავკასიის შტაბის საკონტაქტო ქსელის უფროსი; მსოფლიო ომის წლებში (1942-1945) თბილისის სამხედრო ოლქის კავშირგაბმულობის ბატალიონის უფროსის მოადგილე; რაღიოქარხნის დირექტორი; „საქტეპტარის“ ტრესტის მმართველი; სპეციალური საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს დირექტორი; თბილისის ხორცომბინარის გენერალური დირექტორი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მეორე მსოფლიო ომის პერიოდისათვის დაკავშირებით ქ. თეირანში გამართულ (1943 წ.) დიდ სახელმწიფოთა ლიდერების კონფერენციაზე, საბჭოთა კავშირის დელგაციის შემადგენლობაში იყო ოთარ დაგიოთის ძე ანანიაშვილიც.

ბატონი ოთარის მეუდლე გახლდათ ქალბატონი ანა ლევანის ასული ბათიაშვილი. მათ აღზარდეს ორი შვილი – ვაჟა (დაბ. 1939) და მერაბი (დაბ. 1946).



ჭინა პლანზე: ოთარი და ანა (მეუდლე). უკან - ანას მმა ქოლია ბათიაშვილი, რომელიც ითვლება მეორე მსოფლიო ომში დაგარგულად.

ვაჟა ჯერ მუშაობდა ქ. მოსკოვში მენდელევევის სახ. ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ ქ. თბილისში მეცნიერებათა აკადემიაში. იყო აკადემიკოსი.

ვაჟამ მეუდლესთან (თამილა სუმბაძე) ერთად ქვეყნას აღუზარდა ორი შვილი ოთარი და ნინო. ვაჟას ჰყავს შვილიშვილი სანდორ ანანიაშვილი. ვაჟა ანანიაშვილი გარდაიცვალა 1998 წ. ივლისში.

ოთარ ანანიაშვილის მეორე ვაჟმა მერაბმა ჯერ დამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ტექნოლოგიური ფაკულტეტი), ხოლო შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. გახდავთ სამხედრო პოლკოვნიკი (თადარიგის). მონაწილეა საომარი მოქმედებისა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამ-ებამად პენსიონერი. ლალი ზურა-

ბის ასეულ მუშლაძესთან ერთად შექმნილ ოჯახში აღიზარდა სამი შვილი: მამუკა, მაია და ნატალია. ჰყავს შვილიშვილები – ანა ანანიაშვილი, დავით და ბარბარე გელაშვილები; ასევე შვილთაშვილები – გიორგი და ნიკოლოზ ფეიქრიშვილები.

აქვე გვიჩდა გაფიხსენოთ ოთარ ანანიაშვილის მეუღლის ანას მშენებელი ბათიაშვილი (დამთავრებული პქონდა თბილისის სამსატვრო აკადემია), რომელიც იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე. სამწუხაროდ, იგი ვერ დაბრუნდა სახლში. ითვლება ომში დაკარგულად.

ამ პატარა ბიოგრაფიული წერილის მთავარი პერსონა ოთარ დავითის ძე ანანიაშვილი გარდაიცვალა 2002 წლის ნოემბერში. დარბალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

ნათელში იყოს დიდებული ქართველი ვაჟკაცის სული.

„...ადგილი, სადაც უცხოვრია დიდ ადამიანს,  
წმინდაა მარად...“

(იოჟან გოგოუ)


## ბოჭორაძე ვალერიანი

„...ადამიანი ფასდება უპირველეს ყოვლისა  
არა იმით, თუ რამდენ წელს იცოცხება,  
არამედ იმით, თუ რამდენი გააკეთა...“

ამ სულისკვეთებით და შეგონებით იცოცხება და იშრომა ბატონმა ვალერი-ან ბოჭორაძემ, რითაც თავი დაამასხსოვრა არა მხროდ ახლობლებს, არამედ ფართო საზოგადოებას. მასზე ამბობდნენ: „...ქვეყანას ასაშენებლად მოევლინაო...“

ბატონი ვალერიანი დაიბადა ქ. გორგაში 1927 წლის 4 აპრილს მშრომელთა ოჯახში. მამა – შალვა ბოჭორაძე; დედა – ელენე ქებაძე. ვალერიანის გარდა შემატებილებულ ოჯახში აღიზარდნენ მისი და თინათინი და მმაგიოზი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვალერიანი ბავშვობის ასაკიდანვე გამოირჩეოდა მუდმივად რაღაცის კეთებით, ყველაფრისადმი დიდ ინტერესს იჩენდა და თავისებურ დასკვნებს აკეთებდა.



მას, როგორც იტყვიან ხოლმე „ჩვეულებრივი ბავშვობა ჰქონდა“, თუმცა, უნდა აღინიშნოს მისი მაღალი დონის მოთხოვნილება უკეთესის ძიებასა და კეთებაში და ეს მნიშვნელოვანი შტრიხი არ დაუტოვებიათ ყურადღების გარეშე არც მშობლებს და არც აღმზრდელ-პედაგოგებს.

ვალერიან ბოჭორაძემ დაამთავრა გორის №5 საშუალო სკოლა და შეუდგა თავისი სანუკარი ოცნების აღსრულებას – ჩამოყალიბებულიყო პროფესიონალ მშენებელ-ინჟინრად. ამ მიზნით მან სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სტუდენტურ უძილო დამეჯებში, სწავლა-შრომა-განცდებში მაღე გაირბინა წლებმა და ვალერიანი, უმაღლესი განათლების დიპლომით ხელდამზვენებული დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს – ამჯერად უკვე შრომითი ბიოგრაფიის ჩამოსაყალიბებლად, მშენებელი ინჟინრის კვალიფიკაციით.

ვალერიან ბოჭორაძე თითქმის 50 წლის განმავლობაში მუშაობდა მშენებელ-ინჟინრად სხვადასხვა ობიექტებზე, ტრესტებში, ორგანიზაციებში, მათ შორის საქაოდ სახელმოხვევლი, გორში ბაზირებულ №3 სამშენებლო ტრესტში.

ქ. გორში და გორის რაიონში მრავალ ობიექტს და კომპლექსს გაჰკრავს ბატონი ვალერიანის შრომისა და ზრუნვის ელფერი.

შრომაში ჩაფლულმა კაცმა 39 წლის ასაკში გადაწყვიტა შეექმნა საპუთარი ოჯახი და თავისი მომავალი ცხოვრების თანამგზავრად შეარჩია იზოლდა სტეფანეს ასული კოპაძე.

ოჯახს შეეძინა ოთხი შვილი – გაიოზი, სოფიო, ზურაბი, ელენე.

შეხმატებილებული ოჯახის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ არ დაზოგეს ენერგია და მონდომება, რომ შვილებს მიეღოთ უმაღლესი განათლება.

ბატონ ვალერიანს და ქალბატონ იზოლდას პყავთ ხუთი შვილიშვილი.


ბატონი ვალერიან ბოჭორაძე გარდაიცვალა 94 წლის ასაკში 2021 წლის 5 ივნისს.

ნათელში იყოს მისი სული.



**„უკვედაზე რთული პროფესია არის გაცობა...“  
(ხოსე მარტი პერესი)**

## ბურგენიძე სტეფანი



სტეფანი (1985 წ.).

სტეფანი ისაკის ძე გურგენიძე დაიბადა მცხეთის რაიონის სოფ. მუხრანში ადგილობრივი შეძლებული გლეხის ოჯახში 1919 წლის 21 აგვისტოს.

მამა, ისაკი განათლებულ პიროვნებად ითვლებოდა – ფლობდა რამდენიმე ენას; ჰქონდა სავაჭრო ობიექტები; მის რჩევა-დარიგებებს დიდ პატივს სცემდნენ სოფლის მკიდრნი.

დედა, ქალბატონი მარიამი გახლდათ ქ. გორიდან; მათი ოჯახი ცხოვრობდა გორის ქ.წ. ციხის უბანში.

ბატონ ისაკს და ქალბატონ მარიამს შეეძინათ სამი ვაჟი – პავლე, სტეფანი და იოსები.

მოხდა ისე, რომ პავლე და სტეფანი აღიზარდნენ ქ. გორში მცხოვრებ უშვილო დეიდასთან, ქალბატონ ლლდასთან.

სტეფანემ, სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მისაღებად მიაკითხა ქ. თბილისში თეატრალურ ინსტიტუტს და წარმატებულად ჩაბარებული მისაღები გამოცდების შემდეგ მოხვდა აკაკი ხორავას კლასში. თუმცა, მან ერთი წლის შემდეგ, ახლობელ-ნათესავების დაუინტენდონი მოთხოვნის შედეგად, მიატოვა თეატრალური ინსტიტუტი და სწავლა განაგრძო სამედიცინო ინსტიტუტის სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე. წლების განმავლობაში იგი ჩამოყალიბდა მაღალი დონის პროფესიონალი და მრავალ ადამიანს შეუძლებულა ყოფა. იგი მოღვაწეობდა კასპისა და გორის რაიონულ პოლიკლინიკებში, ხოლო ქ. გორის საქალაქო სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ამოქმედების (1964) შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ორთოპედიულ განყოფილებას.

ბატონმა სტეფანემ ოჯახი შექმნა ქ. ხაშურიდან გორში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოსულ როზა ქურდაძესთან ერთად (როზა ქურდაძე მუშაობდა გორის №8 საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად; იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქიმიის სექ-


ციას ქ. გორის განათლების განყოფილებაში. ქალბატონ როზას მიღებული აქვს განათლების წარჩინებული მუშაკის წოდება და მრავალი მედალი, მადლობა, ოუკრემი; იყო პერსონალური პენსიონერი). მათ შეეძინათ და ადზარდეს ოთხი ერთმანეთზე უკეთესი შეიდი:

**მზია გურგენიძე** (წლების განმავლობაში მუშაობდა კომკავშირისა და პარტიის მაღალ საპასუხისმგებელო თანამდებობებზე. რამდენიმე მოწვევის დეპუტატი იყო ასევე კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი. ლირსების ორდენის კავალერი; წარჩინებული და ავტორიტეტული პიროვნება. საქმიანობით და ცხოვრების წესით გამორჩეული), მანანა გურგენიძე (ექიმ-გინეკოლოგი; სამედიცინო წრებში და უამრავ პაციენტთა შორის ფრიად ავტორიტეტული და მაღალი ნდობით აღჭურვილი პიროვნება. იგი 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იდგა ხალხის სამსახურში და ერთგულად ემსახურა დედებისა და ბავშვების ჯანმრთელობის საქმეს. გარდაიცვალა 2015 წ.).

**გიორგი გურგენიძე** (სტომატოლოგი; მისი მეუღლე ქალბატონი ოლენა გახდავთ ქ. გორის დედათა და ბავშვთა ცენტრის „იავნანას“ თერაპევტი და საქველმოქმედო ფონდ „კარიტასის“ ხელმძღვანელი. ჰყავთ ორი ვაჟი – დავითი (კომპიუტერის საუკეთესო სპეციალისტი და ირაკლი (ფინანსისტი)) და უმცროსი ვაჟი ზურაბ გურგენიძე (მედიცინის მეც. დოქტორი; ავტორიტეტული ექიმი-უროლოგი; მისი მეუღლე ოლიკო ჯვარიძე სამედიცინო ცენტრ „გორმედის“ ექიმია. ზურაბს და ოლიკოს ჰყავთ სამი შვილი: თამარი (ექიმი), გიორგი (ექიმი) და სტეფანე (სტუდენტი). თამარს ჰყავს ორი ქალიშვილი, გიორგის ერთი ვაჟი.

ბატონი სტეფანე გურგენიძის მონაგარი ლირსეულად აგრძელებს ცხოვრებას და შრომით მოღვაწეობას, როგორც ქ. გორში, ისე დედაქალაქ თბილისში.

ბატონ სტეფანეს ძმამ პავლე გურგენიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო იურიდიული განათლება და ათეული წლების განმავლობაში იმსახურა იურისპუდიციის სფეროში –



როზა ქურდაძე და სტეფანე გურგენიძე (1975 წ.).



**ოჯახურ გარემოში.**

დონეზე მსახურებით გაითქვეს სახელი და მოიპოვეს ავტორიტეტი ფართო სახოგადოებრივ წრეებში.

ბატონი პავლე ამაყობდა ხუთი შვილიშვილით.

სტეფანე გურგენიძის მეორე მას იოსებს უფრო რთული გზის გავლა ხვდა წილად. მეორე მსოფლიო ომიდან დაბრუნების შემდეგ დაამთავრა შეს-ს სპეციალური სკოლა, რის შემდეგაც ქ. გორგაში იმუშავა ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მას ჰყავს ოთხი შვილი: მარიამი (პედ-აგოგი), თამარი (პედაგოგი), ქეთევანი (ინფექციონისტი) და ნინო (გინეკოლოგი).

ბატონი იოსები შვიდი შვილიშვილის პაპა იყო.

და ბოლოს, როგორ ახასიათებენ სტეფანე გურგენიძეს მისი ახლობელ-ნათესავები, ყოფილი კოლეგები, შვილიშვილები და მადლიქრი მისი ყოფილი პაციენტები.

„ბატონი სტეფანე იყო: მტკიცე ხასიათის, შეუვალი, პრინციპული, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, მომთხოვნი როგორც საქუთარი თავის ისე სხვების მიმართ, ობიექტური, უდალატო, ერთგული, გაჭირვებულთათვის მხარში ამომდგომი, თავისი საქმის უბადლო ოსტატი,



**1956 წ. მარცხნიდან: ალექსანდრე ბიძინაშვილი, ეთერ ნადირაძე და სტეფანე გურგენიძე.**

სტუმართმოყვარე და კომუნიკაბელური, ყველასადმი კეთილგანწყობილი, სასურველი სტყუმარი და...

ასეთი აღამიანები იშვიათად იბადებიან...“

სტეფანე გურგენიძე უკცრად გარდაიცვალა სამსახურისკენ მიმაგალ გზაზე 1989 წლის 27 მარტს.

დაკრძალულია ქ. გორის კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში იყოს მისი სული.

„...წახეველ იმქვეუნად სასახელო ქართველთა სწორი,  
გვეამაყები – არ გიგიწყვბს ქალაქი გორი...“

## განიშვილი გახტანბი

„მაღალ მწვერვალებს უფრო ეცემა  
ჰლვა და მეხი...“

(მიქელანჯელო)

დიახ, ვახტანგ ვანიშვილი ჭეშმარიტად პგავდა მაღალ მწვერვალს თავისი ვაჟკაცობით, აღამიანებთან ურთიერთობით და ცხოვრების წესით. იგი დაიბადა 1931 წლის 20 ივნისს გორის რაიონის სოფელ ატენში (ე.წ. „ზაოდის“ უბანში).

ვასილ და ბარბარე ვანიშვილების ოჯახში ვახტანგის გარდა აღიზარდა კიდევ ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი.

ვახტანგი იზრდებოდა ატენის ულამაზეს ხეობაში და იქვე ღრმად ირწმუნა ის, რომ მშობლიურ კუთხეზე უფრო ლამაზს და ძვირფასს ვერსად ნახავს კაცი. მდინარე ტანა მისთვის იყო ყველაზე იღუმალად მოღვდუნე და ყველა მდინარეზე წმინდა.

დაამთავრა საშუალო სკოლა მშობლიურ სოფელში და უმაღლესი განათლების მისაღებად ეწვია თბილისს. მიიღო მშენებელი ინჟინრის კვალიფიკაცია, დაბრუნდა გორში და შეუდგა თავისი შრომითი ბიოგრაფიის გამოქტულას. მრავალი წელი იმუშავა სხვადასხვა სამშენებლო ორგანიზაციებში და სტრუქტურებში. მათ შორის ცხინვალის რეგიონშიც. მისი ხელმძღვანელობით გორში





და გორის რაიონში აშენდა მრავალი ობიექტი, აღსდგა მიწისძვრით და ზიანებული სახლები.

ბატონმა ვახტანგმა მალე მოიპოვა პოპულარობა როგორც კოლეგებში, ისე საზოგადოების ფართო წრეებში.

წარმატებული შრომისათვის ბატონ ვახტანგს მიღებული პქნიდა მრავალი ჯილდო, მათ შორის კ.წ. „სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სიგელები.

ახლობელი ადამიანები ბატონ ვახტანგს ახასიათებენ როგორც მის-აბაძი ბუნებისა და კეთილი ურთიერ-

თობების ქუჩე პიროვნებას.

სადაც კი უმუშავია, ყველგან გამოირჩეოდა საქმისა და ადამიანებისადმი ერთგულებით, მაღალი პასუხისმგებლობით და ყველასთან თბილი ურთიერთობებით. როგორც იტყვიან – „შრომაში არ ჰყავდა ბადალი“.

აღსანიშვანია ის გარემოებაც, რომ ძალიან უყვარდა თეატრი და კინო. შესაძლებლობას არ უშევებდა ხელიდან, რათა ენახა ყოველი ახალი სპექტაკლი თუ ფილმი.

ძალიან უყვარდა ჭადრაკიც და საკმაოდ ძლიერადაც თამაშობდა ისე, რომ ტიტულოვან მოჭადრაკებსაც უჭირდათ მის წინააღმდეგ თამაში.

ვახტანგ ვანიშვილის ახალაგზრდობის ისტორიიდან დღესაც სიამაყიო იხსენებენ ერთ ეპიზოდს. კერძოდ იმას, თუ როგორ გაიტაცა ადიდებულმა მდინარე ტანამ გოგონა და როგორ დროულად გადახტა წეალში ვახტანგი და გადაარჩინა თანასოფლები უბედურებას.

ვახტანგ ვანიშვილმა სამშობლოს დაუტოვა ორი შვილი და სამი შვილიშვილი. გაწლობისილი ინჟინერ-მშენებელი, საუკეთესო მოქალაქე, სანიმუშო მეუღლე, მამა და საყვარელი პაპა გარდაიცვალა 1994 წლის 11 აგვისტოს 63 წლის ასაკში, დაუტოვა რა მოუშენებელი ჭრილობა მეუღლესა და მონაგარს; მის გენს არ უწერია გადაშენება. ნაფუძარზე იზრდება მისი მოსახელე პატარა ვახტანგი, რომელმაც მიმდინარე წლის ადრიან გაზაფხულზე იებით მოფინა ძვირფასი წინაპრის საფლავი.

„...აქაც კარგი კაცი იყო,  
იქ ნათელი დაადგესა...“ (მესტვირე)

# თავზარაშვილები ზურაბი და დავითი

გერ გამოეხსატავთ სიტყვით სხვაგვარით...  
იმსახურებენ უძღვავ დიდებას,  
მამულიშვილნი მათი სადარნი,  
დღეს საქართველოს უხვად სჭირდება.



ზურაბი (1910-1961).

გასული, XX საუკუნის შუა-ათწლეულებში გვარი თავზარაშვილი ყველა გორელს, რომ იტყვიან - „პირზე ეკერა (ეხატა)“ და ეს გარემოება განპირობებული იყო თავზარანთ თოხი ბრწყინვალე წარმომადგენლის (თამარი, ზურაბი, კოტე (კოწო), დავითი) თავგამოდებული შრომის, ბრძოლის და ნაეროფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობის წყალობით.

აღნიშნული სახელების მატარებლები ქვეყნას მოევლინენ ილიკო ანტონის ძე თავზარაშვილისა და ელისაბედ აბდუშელიშვილის მოსიყვარულე ოჯახში.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ერთ-ერთი უმძიმესი იყო, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ისე ომებისა და აჯანყებებისა თუ ამბოხებების სიმრავლით გამოწვეული პრობლემებით. ძნელი იყო ცხოვრება, მაგრამ ბატონ ილიკოსა და ქალბატონ ელისაბედის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმოუდგენლად დიდი ძალის მევის წყალობით გაართვეს თავი სიძლეებს და სამშობლოს აღუზარდეს თოხი ერთიმეორეზე უკეთესი მამულიშვილი, რომლებმაც თავიანთი წონადი წვლილი შეიტანეს მშობლიური კუთხისა და ქვეუნის აღორძინების საშვილიშვილო საქმეში.

ილიკოსა და ელისაბედის უფროსი შვილი თამარი გახლდათ პროფესიით ექიმი და მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში,

დროისა და ჯანმრთელობის დაუზოგავად, ემსახურა მშობლიურ ხალხს. ქალბატონი თამარი მოღვაწეობდა თბილისში კლინიკის მთავარი ექიმის მოადგილედ. მას ჰყავდა მეუღლე დავით კერქევლიძე (პროფესორი პოლიტექნიკური ინსტიტუტში). მათი შვილი ოთარი (მუშაობდა სამშენებლო ინდუსტრიის სფეროში). ფლობდა სამეცნიერო ხარისხს და ეკავა დოცენტის თანამდებობა პოლიტექნიკური ინსტიტუტში). სხვათა შორის, ოთარ კერქევლიძე მონაწილეობდა ქ. გორში, ე.წ. „ახალი ხიდის“ (მდ. მტკვარზე) მშენებლობაში.

ილიკოსა და ელისაბეგის შვილი კოტე (კოწო) თავზარაშვილი იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. ფრონტიდან აღარ დაბრუნებულა და არაფერია ცნობილი მისი შემდგომი ყოფის შესახებ.

ზურაბ ილიას ძე თავზარაშვილი დაიბადა 1910 წელს. გაიარა იმდროისთვის არსებული (ზოგ შემთხვევაში – სავალდებულო) საგანმანათლებლო საფეხურები და მტკიცედ ჩადგა ხალხის სამსახურში.


ბატონი ზურაბი დაბადებული იყო სახელმწიფო მოღვაწედ. მას, როგორც იტყვიან ხოლმე – ყველაფერი შეეძლო და აკი შესძლო კიდეც.

საოცარი აქტიურობისა და ორგანიზაციორული ნიჭის წყალობით, იგი მაღლე მოქადა რესპუბლიკის პარტიულ-სამეცნიერო ხელმძღვანელების ყურადღების არეალში. ათეული წლების განმავლობაში იგავებდა მაღალ თანამდებობებს და ერთგულად და დაუღალაფად იღწვეოდა ქვეყნისა და ხალხის საქონილდღეოდ.

ბატონი ზურაბი, პარტიის გორის რაიონული კომიტეტის მდივნობიდან გადაიყვანეს პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, სადაც მაღლევე გამოამჟღავნა ხელმძღვანელობის უნიკალური ორგანიზაციორული ნიჭი და მიაღწია მრავალ წარმატებას. სულ მოკლე პერიოდში ბატონი ზურაბი წარმოჩნდა ქალაქშე და ხალხზე განსაკუთრებულად მზრუნველ ადამიანად. ყველა გორელი მას მოიხსენიებდა ხაზგასმული პატივისცემითა და სიყვარულით (იხ. ფოტო. დასაფლავების ცერემონიალზე. ასეთი ხალხმრავლობა გორს არ ახსოვს).

ზურაბ თავზარაშვილმა თავისი ცხოვრება სიყვარულით დაუკავშირა ქალბატონ კლეოპატრა იალამიდის, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა საბავშვო ბაგა-ბაღების სფეროში, ეკავა ჯერ გამგის (ცნობილი ე.წ. „კლეოს ბაღი“) თანამდებობა, შემდეგ კი მეთოდისტის. ქალბატონ კლეოპატრა გარდაიცვალა 1993 წელს.

ზურაბმა და კლეოპატრამ აღზარდეს ორი შვილი: ნოდარი



ზურაბ თავისარაშვილის და გრძელების პროცესია. ასე მიაღწევენ მდიდარი და მარტინი ჰერენვარი განსაკუთრებული ექიმი (1961 წ.).

(მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლოს კი „მშენებანების“ მმართველის მოადგილედ. პყავს მეუღლე ნანა თავუელიშვილი, წლების განმავლობაში დაწყებითი სწავლების პედაგოგი №3 სკოლაში. მათ შეეძინათ სამი შვილი – თამუნა, მაგა და ქეთევანი. ხოდარი ტრაგიულად დაიღუპა 1989 წელს, 52 წლის ასაგში) და მანანა, რომელმაც ოჯახი შექმნა კახი ხერხეულიძესთან (საქ. სახალხო არტისტის შალვა ხერხეულიძის ვაჟი, რომელიც დღეისთვის აღარ არის ცოცხალთა რიგებში) ერთად. მანანას და კახის პყავთ ვაჟიშვილი ზურა, რომელიც აგრძელებს ხერხეულიძეების გვარს. საჭიროა აღინიშნოს, რომ ზურას მეზობლები, მეგობრები თუ კოლეგები აღფრთოვანებულები არიან ზურას მეუღლისა (ნინო) და შვილის (ელენე) მართლაც რომ „ზღაპრული“ სილამაზით.

ზურაბ თავზარაშვილს ხალხი იცნობდა, როგორც საოცრად მიმზიდველი გარეგნული იერისა და თბილი და უმდიდრესი შინაგანი ბუნების მატარებელ პიროვნებას. მისი პირადი ნიშან-თვისებებიდან ხაზს უსვამდნენ კიდევ იმას, რომ მას უყვარდა ტრადიციულ ქართულ სუფრასთან მეგობრების წრეში მოლხენა; განვლათ მხიარული, მჭერმეტყველი და ქართული სუფრული სიმღერების საუკეთესო შემსრულებელი.

დღესაც კარგად ახსოვთ გორელებს, თუ როგორ გადაარჩინა ბატონმა ზურაბმა 1956 წლის 9 მარტს მოედანზე საპროტესტოდ შეკრებილი ხალხი (სტალინის პიროვნების დასაცავად) სამხედრო ნაწილებისაგან დარბევას, როგორც ეს რუსმა შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ჩაიდინეს საქართველოს დედაქალაქში.

ზურაბის კაბინეტში მისულა გორეში განლაგებული სამხედრო ნაწილის კომენდანტი და მოახსენა მომიტინგეთა დარბევის გადაწყვეტილების შესახებ. ზურაბს კარი ჩაუკეტია და მთელი დღე-დამის განმავლობაში გარეთ აღარ გაუშვია ეწ. სტუმარი; უთქვამს – „...ჯერ მე მომკალით და მერე თქვენ იციოთ“. მომიტინგები გადარჩენა, მაგრამ როგორც შემდგომმა პერიოდმა აჩვენა, ბატონმა ზურაბმა დიდად განიცადა მომხდარი, მიიღო სულიერი ტრაგმა, რამაც გამოიწვია მისი გულით დაავადება.

სამწუხაროდ, ზურაბ თავზარაშვილი გარდაიცვალა 50 წლის ასაგში და დიდი ტკიფილი დატოვა მადლიერი აღამიანების გულებში.

მას და მის სასიკეთო საქმეებს არასოდეს დაივიწყებს ქ. გორი, მისი შოთბლიური ქალაქი.

ზურაბ თავზარაშვილს პყავდა უმცროსი ძმა, სახელად დავითი. მას მთელი გორი სიყვარულით მოიხსენიებდა, როგორც „დავით

ილიჩს“ (წინამდებარე ტექსტის ავტორს ჰქონდა ბედნიერება, ცნობილ პარტიულ-სამეურნეო მუშაგის ლევან ხარაგიშვილის ოჯახში, ქართულ ტრადიციულ სუფრასთან შეხვედროდა მას. არ დამავიწყდება მისი სიტყვები – „...პარგად მდერი, მაგრამ ჩემს ძმაზე უკეთესად ვერაო...“).

დავით თავზარაშვილი (დავით „ილიჩი“) დაიბადა 1918 წელს. უმაღლესი განათლება მიიღო საქართველოს პოლიტქინიკურ ინსტიტუტში (ადრე ერქვა „ინდუსტრიული“), რომლის დამთავრებისთანავე წავიდა სამშობლოს დასაცავად ფაშისტების შემოსევისგან (1941-1945 წ.წ.). ფრონტზე იგი ხელმძღვანელობდა საარტილერიო შენართს. ცხარე ბრძოლებში დაიჭრა და დააბრუნეს საყვარელ გორში.

ბატონი დავითი სულ მალე იქნა აღიარებული წარმატებულ პარტიულ-სამეურნეო მუშაკად. მთელმა მისმა ცხოვრებამ თავგამოდებულ შრომაში გაიარა – სადაც კი სინელექტური წარმოქმნებოდა, იქ აგზავნიდნენ სამუშაოდ: თბილისის შოკოლადის ქარხანა; გორის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე; კომუნალური განყოფილების უფროსი; დავით „ილიჩის“ თაოსნობით გორში გაისხნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, იყო მისი პირველი დეკანი. იყო გორის რაიონის მთავარი არქიტექტორი და ა.შ.

ბატონი დავითი გამოიჩინეოდა შრომისმოყვარეობით, მაღალი ღონის განათლებით, კომუნიკაციურობით, ერთგულებითა და იუმორნარევი ურთიერთობებით ოფიციალურ კაბინეტებში თუ ქართულ სუფრასთან მეგობრების წრეში, დავით „ილიჩს“ მიიჩნევდნენ გორის ერთ-ერთ მასპინძლად. ეს დიდი შეფასება გახდათ, რაც აქტიური შრომითა და ხალხის მხრიდან სიყვარულით ყალიბდებოდა.

დავით თავზარაშვილი გარდაიცვალა 1995 წელს. მისი მეუღლე ქეთევან კიკნაძე წლების განმავლობაში იყო №3 აფთიაქის მმართ-



დავითი (1918-1995).

ველი. ქალბატონი ქეთევანი გარდაიცვალა 2006 წელს.

დავითს და ქეთევანს ჰყავთ სამი შვილი: მარინე (ექიმი), ილია (ექიმი) და კოტე (მშენებელ-ინჟინერი). ილია გახდავთ მედიცინის აკადემიური დოქტორი. იგი მონაწილეა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის. დაჯილდოებულია დირსების ორდენით. მიღებულიაქვს პრეზიდენტის მადლობა.

დავით „ილინის“ ვაჟიშვილი კოტე ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. გორში. ამ სტრიქონების წერისას იგი არის ქალაქის მერი და საკმაოდ წარმატებულიც. იგი დირსეულად აგრძელებს მამის (და ზოგადად თავზარაშვილების) ტრადიციებს და მშობლიური ქალაქისა და მოსახლეობის ქეთილდღეობისთვის შრომაში ხედავს თავის უპირველეს მოვალეობას.

ამონარიდი გაზეო „გორის მოამბიდან“ (2021 წლის 19-25 აპრილი): „...ქალაქის ინფრასტრუქტურის კუთხით (ახალი ობიექტები, ფასადები, ქუჩები, ტროტუარები, სკერები, გაზონები, დასუფთავება, განათება, წეალმომარაგება, ტრანსპორტი და სხვა) ბოლო 2-3 წელიწადში იმდენი რამ გაკეთდა და მოწესრიგდა, რომ ამდენი ალბათ არ გაკეთებულა ოცდაათი წლის განმავლობაში...“ ამ ყველაფერს კი სათავეში უდგის ქალაქ გორის მერი, კოტე თავზარაშვილი და „მისი“ შრომისმოყვარე გუნდი.

ბატონ კოტეს ოჯახში იზრდება სამი შვილი – მარიამი, ნინო და გიორგი. იგი პაპა ხუთი შვილიშვილის.

დაბოლოს, მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ გორს ადარ ჰყავს თავზარაშვილების გვარის ოთხი დირსეული შვილი – თამარი, ზურაბი, კოტო და დავითი. სამუდამო სასუფეველში დაიკავეს აღგილი თავისი ძვირფასი მშობლების (ილია, ელისაბედი) არეალში.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები. იმედია, დირსეული მონაგარი არ გაახარებს მათ საფლავებზე სარეველას. ამინ!

„სჯობს სახელისა მოხელესა  
ყოველსა მოსახელესა...“  
(რუსთაველი)

# თედელური კონსტანტინე




1945 წ.

ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი და მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ჯერ როგოს გვირჩის მშენებლობაზე, მერე კი თბილისის „მეტრომშენში“ გენერალური დირექტორის მოადგილედ. რაც შეეხება ქონსტანტინეს ქალიშვილს, ქალბატონ ზოიას – იგი გახდა პროფესიონალ მუსიკოსი და მოღვაწე.

ქონსტანტინემ დაამთავრა გორის №1 საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა მოსკოვში ქიმიის სასწავლებელში, მაგრამ ოჯახურმა მდგომარეობამ არ მისცა საშუალება ბოლომდე მიეჭვანა საქმე. მონდომებულმა ახალგაზრდამ თავისი ცოდნის დონე აიმაღლა ასევე ქ.



ქონსტანტინე მუშალესთან (მარიამ ერემაშვილთან).



1978 წ.

რიაზანის სარკინიგზო სახტავლებელში.

კონსტანტინე თედელურს მონაწილეობა აქვს მიღებული თითქმის ყველა იმ საომარ მოქმედებაში, რომელსაც აწარმოებდა ყოფილი საბჭოთა კაგშირი: ფინეთში, პოლონეთში, გერმანიაში და ა.შ.

მიღებული აქვს საბრძოლო ორდენები, მედლები და უმაღლესი მთავარსარდალის მაღლობები.

ბატონი კონსტანტინე გახდათ ახალგაზრდული კომპავშირული ორგანიზაციის წევრი 1939 წლიდან, ხოლო კომუნისტური პარტიის წევრი 1947 წლიდან.

ახლობლები ღიმილით იხსენებენ ბატონი კონსტანტინეს შესახებ ერთ საბრძოლო ეპიზოდს – დაბომბვის შედეგად მძიმედ დაიჭრა და გონება დაკარგა. როდესაც გონს მოეგო, დაინახა, რომ უცხო ძალი კილებით ჩასჭიდებოდა მის გასისხლიანებულ ფარაჯას და გაჭირვებით მიათრევდა სამედიცინო პუნქტისკენ.

ომის დამთავრების შემდეგ, ნაომარი კაცი დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და შეუდგა აქტიურ შრომით მოღვაწეობას სხვადასხვა უბანზე: მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში (ინსტრუქტორი); აგროტექნიკურში (ლექციებს კითხულობდა აგროქიმიაში); შპალსაულენთ ქარხანაში (ცვლის უფროსი); მანქანა-ტრაქტორთა სადგურში (მეტს) გამგედ და სხვა.

როგორც კონსტანტინეს ახლობლები იხსენებენ, იგი ყოფილა თბილი ხასიათის, მაღალი პასუხისმგებლობის უნარით დაჯილდოებული, კომუნიკაციელურობით გამორჩეული, განუწყვეტლივ მოფუსვუს და სულ რაღაცის მკონებელი; უსაქმოდ ვერ ნახავდნენ ერთ წევთსაც. ამასთან ყოფილა დიდი იუმორის გრძნობით დაჯილდოებული. ხშირად ამბობდნენ თურმე მის შესახებ – „იშვიათი პიროვნება გახდავთო...“ კონსტანტინეს ძალიან ჰყვარებია ლექსების წერა. ეხერხებოდა ხატვაც, აფორმებდა მეგობრულ შარქებს, უკრავდა მანდოლინას და მღეროდა; გახდდათ საოცარი მასპინძლი. სტუმრები აღფრთვანებულნი იყვნენ მისი ნიჭირებით, ერთგულებით, პატიოსნებით და სამშობლოს სიყვარულის განცდით.

სამწუხაროდ ოჯახმა და საზოგადოებამ დაკარგა ასეთი კაცი.

კონსტანტინე თედელური გარდაიცვალა 1981 წლის 11 ნოემბერს. დაკრძალულია ქ. გორში. კვერნაქის სასაფლაოზე. ნათელში იყოს მისი სული.

ბატონ კონსტანტინე თედელურს ჰყავს მომგონებლები: შვილიშვილები – კონსტანტინე თედელური (არქიტექტორი), ზურაბ თედელური (იურისტი, პრობაციის სამინისტრო); მაია კახიაშვილი (ურნალისტიკას ფაკულტეტის სტუდენტი).

შვილთაშვილები – ალექსანდრა თედელური (2,5 წლის); ნია, გიორგი და თეოდორე თედელურები – სკოლის მოსწავლეები.

„...მხოლოდ ის ცოცხლობს, ვინც იძრძვის –  
უპავდავებისა ხიზანი,  
რომლის გულსა და გონებას  
უხმობს მაღალი მიზანი...“  
(ვიქტორ ჰიუგო)



ფრონტიდან გამოგზავნილი ფოტო.

## პვირიპაშვილი გიორგი, რაზმაძე ანო

მათ სამი საყვარელი შვილი აღუზარდეს საშობლოს (რუსულანი, ეთერი, ჯემალი). პატარები იყვნენ ბავშვები, როდესაც კაცობრიობას თავს დაატყდა მეორე მსოფლიო ომი. ომით გამოწვეული სირთულეების გამო გაუჭირდათ ადამიანებს ოჯახების რჩენა, მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე – „წელებზე ფეხს იდგამდნენ...“ და ბავშვებს მზრუნველობას არ აკლებდნენ. გიორგისა და ანოს სამივე შვილმა მიიღო უმაღლესი განათლება (სხვადასხვა სპეციალობით).



ანიკო რაზმაძე.

შვილების დაკვალიანების ამოცანის სიმძიმის დიდი ნაწილი წილად ხვდა ქალბატონ ანიკო რაზმაძეს, რადგან გიორგი კვირიკაშვილი ვეღლარ დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს – დაიღუპა მრავალ ქართველთან ერთად ისტორიისთვის კარგად ცნობილ „ქერჩის ბრძოლებში“.

გიორგი ალექსის ძე კვირიკაშვილი დაიბადა 1905 წელს ქ. გორში.

დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ გადაწყვიტა ოჯახს ამოსდგომოდა მხარში და მუშაობა დაიწყო ქ. გორის წყალმომარაგების სისტემაში, სადაც სულ მაღალ მიიქცია ყურადღება, როგორც ბეჭიოთმა და ინიციატივიანმა პიროვნებამ.

გიორგის დედა, ქალბატონი მართა სიამოვნებით და სიამაყით ისმენდა მეზობლებისა და მეგობრების ტკბილ სიტყვებს მისი ვაჟიშვილის შესახებ.

ანო (ანიკო) რაზმაძე აქტიურად იყო ჩაბმული გორში და გორის რაიონში მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. თავის მოქალაქეობრივ ვალს იხდიდა ქ. გორის გვ. „საცდელ-სამეურნეო საწარმოში“.

ქალბატონი ანიკო სიცოცხლის ბოლომდე თაგს ევლებოდა ობლადაღზრდილ შვილებს და ბოლომდე გულით დაატარებდა უდროოდ დაღუპული მეუღლის სხვენას.

ანიკო რაზმაძე გარდაიცვალა 1988 წელს. დაკრძალულია თბილისში.

ნათელში ყოფილიყოს ფრონტზე დაღუპული გიორგი კვირიკაშვილისა და დგაწლმოსილი მშრომელისა და გამორჩეულად მზრუნველი ქალბატონ ანიკო რაზმაძის სულები. იმედია, მათი მონაგარიარასოდეს დაიგიწყებს უძვირფასებს წინაპარს.

„...თავი დაპხოდა ბალახს,  
ძვნესა ისმოდა ქვისა...  
დარდი ეფინა მთაბარს,  
დარდი ჩვენი და სხვისა“.

## ლაცაბიძე ნოდარი

„...რა არის ძალა დიდსულოვან ადამიანთა?..  
ის, რასაც ხმალი დაპტარი და არ დაზიანდა...“  
(ანდრეას გრიფიუსი)


ნოდარ ალექსანდრეს ძე ლაცაბიძე განეკუთვნებოდა ტექნიკური ინ-ტექნიკურის იმ პლეადას, რომელსაც წილად ხვდა უდიდესი და ურთულესი მისის შესრულება, კერძოდ – მეორე მსოფლიო ომის შედეგად განაღგურუ-ბული სახალხო მეურნეობის ფეხზე წამოყენება და ახალი მეცნიერული და ნოვატორული პროექტებისა და ტექნოლოგიების მასშტაბური შექმნა და დანერგვა. შეიძლება ითქვას, რომ „იმ“ პლეადამ მიზანს მიაღწია. ყველა ჭარმაგ ადამიანს კარგად ახსოვს ლო-ზუნგი – „დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე ქვეყნებს...“ ბევრს დავეწიოთ, ბევრს გავასწარით, მაგრამ?!.



ნოდარ ლაცაბიძე ხაშურელი მოსამსახურეების (ალექსანდრე ლა-ცაბიძე, ელექტრიკული) ოჯახში დაიბადა 1932 წლის 28 აგვის-ტოს. მის გარდა, ალექსანდრეს ოჯახში, აღიზარდა კიდევ ქალ-ვაჟი, რომელთა ცხოვრების სასიკეთო გზებზე დაყენების ტვირთის მთელი სიმძიმე თავის თავზე იწვნია ქალბატონმა ელენემ, რამეთუ, გასული საუკუნის ოცდათიანი წლების „ცნობილმა“ რეპრესიებმა შეიწირეს ნოდარის მამისა და ბიძის სიცოცხლე.

ნოდარი სწავლობდა ქ. ხაშურის საშუალო სკოლაში და იმავ-დორულად ხშირად ეწეოდა ფიზიკურ შრომას და ეხმარებოდა უმა-მოდ დარჩენილ ოჯახს.

ნოდარის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ბრწყინვალედ გაიარა (ოქროს მედლით) სწავლა-განათლების პირველი ეტაპი და გაბეჭდულად შეაღო იმ სამყაროს ჭიშკარი, რომელსაც იგი უნდა აეყვანა ტექნიკური პროგრესის მაღალ დონეზე და ეს „სამყარო“ გახლდათ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, კერძოდ კი სამრეწველო საწარმოთა ელექ-ტროგიაკუის დარგი (სპეციალობა). 1956 წელს დაამთავრა აღნიშნუ-ლი ინსტიტუტი და წარმატების დიპლომით შედგა ნაბიჯი შრომითი კარიერის პირველ საფეხურზე, დაიწყო რა მუშაობა (ინჟინრის თა-



**ნოდარი ელექტრონული მოწყობილუბების ლაბორატორიაში (ცენტრში გიგი იასამანვი, მარჯვნივ გაუა დადიანიძე).**

ერთხელ, მონდომებისა და კვალიფიკაციის მიაღწია მნიშვნელოვანი წარმატებებს (რაციონალური წინადადებები, გამოგონებები, წარმოებაში დანერგილი სიახლეებით მოტანილი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, საკავშირო აღიარება, სიგვლები, დიპლომები, მაღლობები, პრემიები და ა.შ.), რაც ყურადღების მიღმა არ დარჩენია პარტიულ-სამეცნიერო ხელმძღვანელობას და ნოდარს სთავაზობენ სხვადასხვა სამუშაოებს და თანამდებობებს.

მოკლე ჩამონათვალი: კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში (,ნიი-ავტომატრომში“) ლაბორანტი, ინჟინერი, უფროსი მეცნიერ-მუშაკი, ლაბორატორიის უფროსი, განყოფილების გამგე; ქ. კრასნოდარის მზესუმზირის ზეთის ქარხანაში – ინჟინერ-ტექნილოგი; ლექტორი (კიოთხულობდა ლექციებს „სამრეწველო ობიექტების ელექტროფიკაცია“) საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის ფილიალში; გორის ქ.წ. „ზუსტი ხელსაწყოების“ ქარხნის მთავარი ინჟინერი; საქართველოს „საქმთავარენერგოს“ გორის ფილიალის მთავარი ინჟინერი და მრ. სხვა.

ნოდარ ლაცაბიძეს გავლილი პქონდა სპეციალური სწავლების კურსი მოსკოვში, ელექტროფიკაციისა და წერვების სამინისტროში, რომელიც განკუთვნილი იყო მხოლოდ წარმოების დირექტორებისა და მთავარი ინჟინერებისათვის.

საზგანმით და სიამაყის განცდით უნდა აღინიშნოს, რომ ნოდარ ლაცაბიძე გამოიჩინა განათლებულობით, პრინციპულობით და ერთგულებით... მისთვის დამახასიათებელი გახლდათ მაღალი დონის პასუხისმგებლობა წებისმიერ საქმისადმი. სწორედ ამიტომ აფასებდნენ და კეთილად მოიხსენიებენ როგორც მის პიროვნებას, ისე მის მიერ გაკეთებულ საქმეებს.

ნამდებობაზე) გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში („ნიი-ავტომატრომში“), რომელიც ქმნას ელექტრობოდა სახალხო მეცნიერების მრავალი დარგის აღჭურვას ავტომატური საკონტროლო-გამზირი საელსაწყოებითა და ტექნილოგიური პროცესების მართვის ავტომატიზირებული სისტემებით.

ამ წელზე მეტი იმუშავა ნოდარმა აღნიშნულ სამეცნიერო ცენტრში და თავისი ნიჭიერების, მაღალი დონის წელის წინადადებების მიაღწია მნიშვნელოვანი წარმატებებს (რაციონალური წინადადებები, გამოგონებები, წარმოებაში დანერგილი სიახლეებით მოტანილი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, საკავშირო აღიარება, სიგვლები, დიპლომები, მაღლობები, პრემიები და ა.შ.), რაც ყურადღების მიღმა არ დარჩენია პარტიულ-სამეცნიერო ხელმძღვანელობას და ნოდარს სთავაზობენ სხვადასხვა სამუშაოებს და თანამდებობებს.

ნოდარზე ხშირად ამბობდნენ და დღესაც მოისმენთ, რომ „...სადაც კი იმუშავა, ყველგან დაიმსახურა მშრომელი კოლექტივისა და პარტიულ-სამეურნეო ხელმძღვანელების მხრიდან აღიარება, შექმბა და პატივისცემა.

სამწუხაროა, რომ დღეს ჩვენს შორის ადარ არის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს მაღალი დონის სპეციალისტი.

ნოდარ ლაცაბიძის ოჯახი: მეუღლე ცისანა გამდლიშვილი და სამი შვილი – ორი ქალიშვილი, ტეჟაბი მაია და თინათინი და ერთი ვაჟი ალექსანდრე, რომელიც დაეუფლა მამის სპეციალობას, მაგრამ მუშაობდა სამშენებლო ბიზნესის მიმართულებით. სამწუხაროდ იგი 47 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ღრმა ჭრილობა მიაჭენა ოჯახს. ნოდარის პყავს ექვსი შვილიშვილი: ორი ვაჟი – ნოდარი და ზურაბი, ოთხი ქალიშვილი – თამარი, ნატალია, მარიამი, ანა. ყველამ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და აგრძელებენ მოღვაწეობას სპეციალობებით: თამარი ფინანსური ანალიტიკოსია, ნატალია – ექიმი, მარიამი – მხატვარ-დიზაინერი, ანა – საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია და მუშაობს გაეროს ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობაში. ნოდარმა და ზურაბმ დაამთავრეს აგრარული უნივერსიტეტი სსვადასხვა სპეციალობით. ნოდარის მონაგარს გენერიკურად გამოყვა ბაბუის ნიჭი, გონიერება, პროფესიონალიზმი და საქმისაღმი თავდადებული დამოკიდებულება...

ნოდარ ალექსანდრეს ძე ლაცაბიძე გარდაიცვალა 1993 წლის 8 ნოემბერს. დაკრძალულია მშობლიურ ქ. ხაშურში.

ნათელში იყოს მისი სული.

იმედია, ნოდარის მონაგარი არ გაახარებს სარეველას მის საფლავზე.

„...გვწამს, რომ უკვდავთა სახელს ვერ წაშლის, ხსოვნაში ქროლება საუკუნეთა...“  
(ჭ. ბაირონი, პერიფრაზი)



ნოდარი (უკანა პლანზე) და მისი სტუმარი, პროფესორი სერგი ტიურინი (მარცხ. პირველი) ბორჯომში (1968 წ.). ცენტრში დგას ლ. აბულაძე მარჯვენა პირველი ვახტანგ ჭანკოტაძე.


# მექანიზმის უშანბი

უშანგი ზაქარიას ძე მექანიზმის დაიბადა 1930 წლის 5 მაისს, ქარელის რაიონის სოფელ ბრეძაში. მამა – ზაქარია მექანიზმის მშრომელი მეურნე კაცი იყო. იგი რამდენიმე წელი სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ და კოლმეურნეობის ხელმძღვანელად მუშაობდა. დედა – ელიქო მელაძე განათლებული და მშრომელი ქალბატონი გახდათ. მათ გაზარდეს სამი შვილი – უშანგი, ალექსი და გრიშა მექანიზმის დამსახურები.

უშანგი გახდათ უფროსი ძმა, მისი მომდევნო ალექსი მექანიზმის პროფესიით ინჟინერი, წლების მანძილზე მუშაობდა მუხიანის და დიდი დილომის დასახლების სახლმართველად. იგი ოჯახით ცხოვრობს ქ. თბილისში. ამჟამად პენსიონერია. ჰყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

გრიშა მექანიზმის პროფესიით ეკონომისტი, წლების განმავლობაში თავისი პროფესიით მუშაობდა სხვადასხვა მრგანიზაციებში. ამჟამად პენსიონერია და აქტიურად ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ცხოვრობს ქ. ქარელში. ჰყავს შვილი და ოთხი შვილიშვილი.

უშანგიმ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. გორის პედაგოგიურ ინსტიტუტიში. დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქარელში, პიონერთა სახლის დირექტორად, შემდგომ იყო ქარელის რაიონის ინსტრუქტორი. წლების მანძილზე მუშაობდა რაიონული აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ, იყო რაიონული გამგებლის პირველი მოადგილე. ამავე პერიოდში, პარალელურად, აქტიურად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო ქარელის დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელი და მისი უცვლელი თავმჯდომარე. ამ საზოგადოების მოქმედების პერიოდში, საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმეს წლებში, უამრავი მრავალშვილიანი ოჯახის დახმარება განხორციელდა, როგორც სასურსათო პრო-



დუქტით, ასევე ფინანსური კუთხითაც, რაც მრავალშვილიანი ოჯახის წევრების სწავლის საფასურის გადახდაში გამოიხატებოდა.

უშანგი მეყანწიშვილი იყო თავისი საქმიანობით რაიონში ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი. მისი ყოველდღიური ცხოვრება განისაზღვრებოდა რაიონისათვის საჭირო ახალი პროექტების შექმნაში, რაც დრმად მოხუცებულობის პერიოდშიც არ შეუწყვეტია. ამას მოწმობს მის მიერ დატოვებული მრავალი წერილი და სტატია სხვადასხვა სფეროს განვითარების შესახებ.



### შვილიშვილებთან ერთად.

დაოჯახდა 1968 წელს. მისი მეუღლე – ციური თოთლაძე პროფესიონალი ექონომისტი იყო. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საგადასახადო ინსპექციაში მთავარ ბუღალტრად.

უშანგი მეყანწიშვილს ჰყავს ორი შვილი. უფროსი ეკა მეყანწიშვილი დაბადებული 1969 წელს, ამჟამად დიასახლისია. ვაჟი – ზაქარია მეყანწიშვილი დაბადებული 1971 წელს, პროფესიონ ექიმი, ამჟამად მუშაობს ქარელის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარ მენეჯერად. შვილის მეუღლე – თინათინ ზეინჯლიშვილი პროფესიონალი პედაგოგია და მუშაობს ქარელის პირველ საჯარო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად უშანგი მეყანწიშვილი გამორჩეულად თბილი და მოსიყვარულე პაპა იყო. მისი შვილიშვილები – მარიამ, თამარ და ქეთევან მეყანწიშვილები ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებენ საყვარელ პაპიკოს. მათთვის საამაყო და ძალზედ სასიამოვნო გარშემომყოფთაგან პაპას მიმართ მადლიერებისა და სიყვარულის გამომხატველი ქმედები.

უშანგი მეყანწიშვილი სიცოცხლის ბოლომდე იყო მხნედ და საღი გონებით. იავადმყოფა ბოლო თვე და გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, 2020 წლის იანვარს. დაკრძალულია ქარელში.

იგი იყო გამორჩეულად თბილი და გეთილი ადამიანი თავისი გარშემოყოფებისათვის, უყვარდა და განსაკუთრებულ მხრუნველობას იჩენდა ახალგაზრდების მიმართ. მისი ხელშეწყვილი არა აერთ ახალგაზრდას დაუფინანსდა სწავლის საფასური და დაადგა ცხოვრების სწორ გზას.

უშანგი მეყანწიშვილი

დაოჯახდა 1968 წელს. მისი მეუღლე – ციური თოთლაძე პროფესიონალი ექონომისტი იყო. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა საგადასახადო ინსპექციაში მთავარ ბუღალტრად.

უშანგი მეყანწიშვილს ჰყავს ორი შვილი. უფროსი ეკა მეყანწიშვილი დაბადებული 1969 წელს, ამჟამად დიასახლისია. ვაჟი – ზაქარია მეყანწიშვილი დაბადებული 1971 წელს, პროფესიონ ექიმი, ამჟამად მუშაობს ქარელის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარ მენეჯერად. შვილის მეუღლე – თინათინ ზეინჯლიშვილი პროფესიონალი პედაგოგია და მუშაობს ქარელის პირველ საჯარო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად უშანგი მეყანწიშვილი გამორჩეულად თბილი და მოსიყვარულე პაპა იყო. მისი შვილიშვილები – მარიამ, თამარ და ქეთევან მეყანწიშვილები ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენებენ საყვარელ პაპიკოს. მათთვის საამაყო და ძალზედ სასიამოვნო გარშემომყოფთაგან პაპას მიმართ მადლიერებისა და სიყვარულის გამომხატველი ქმედები.

უშანგი მეყანწიშვილი სიცოცხლის ბოლომდე იყო მხნედ და საღი გონებით. იავადმყოფა ბოლო თვე და გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, 2020 წლის იანვარს. დაკრძალულია ქარელში.

# მურადაშვილი გიორგი

„...რაინდის მეტყველები რაინდის  
გული  
ფეთქავდა, რეადა ძლიერი  
ხმებით,  
ბედმა არგუნა ცხოვრება  
როტული...  
ქლდესავით იდგა ამაყი  
ნებით...“

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში 9 აგვისტოს დაღუპულ ქართველ ვაჟაცს გიორგი მურადაშვილს მიმართავს მისი უახლოესი ნათესავი დაკო (დარეჯან) მურადაშვილი:

„...არც პრეველი ხარ და არც უკანასძნელი, ვისზეც წერენ მონატრების, მოგონების წერილებს, მაგრამ შენ ენითგამოუთქმელი და განუმეორებელი ტკივილი დატოვე გიო...“

არ გვაქვს უფლება ბუნების კანონზომიერებას შევეწინააღმდეგოთ, სიკვდილის წინაშე უძლურები გყოფილვარ ჩვენ, მოკედავნი...  
მაგრამ არა, შენზე ვინ ამბობს მოკედაო,  
შენ ხომ უბრალოდ გარდაიცვალე...  
შენ ხომ გმირი ხარ...  
გმირები კი არასოდეს ქვდებიან...“

თავს იმით ვინუგეშებო, რომ ვაჟაცის სიცოცხლე სამშობლოს ექუთვნის და ეს პატივი გარგუნა დმერთმა... წაგიყვანა თავისთან სასუფეველში, რომ აგაცილოს ყველა ამქვეჭნიურ ტკივილს, ჩაგეხუტოს და დაგტოვოს მარად ახალგაზრდა...“

ისტორიის ნაწილი გახდები. ქართულ სუფრაზე შენს სადღეგრძელოს ხომ „სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟაცების“ სახით იტყვიან...“

გულგრილად ვერავინ გაგიხსენებს... ამას მხოლოდ ცრემლიანი თვალები შეძლებენ...“



შენი ამქედენიური ცხოვრება სულ რაღაც 25 წელს ითვლის, მაგრამ ვინ დაითვლის უშენობით გამოწვეულ სევდას...

გიო... ახლა ყველა იმ ადამიანის სახელით მე მოგწერ წერილს, ვისაც შენთვის რამე დარჩა სათქმელი... ჩვენი წერილი უწევულო იქნება, მას არც კონვერტში ჩავდებთ და არც მისამართს დაგაწერთ... შენ ხომ მისამართი არ გაქვს... შენ ხომ სულ ჩვენთან, ჩვენს გულებში და ჩვენს მოგონებებში მარად იარსებებ... გვენატრები... გვაკლისარ... შენს ლიმილიან სახეს ყველგან ვხედავთ... გეძებთ... გჯირდები... როცა აქ იყავი, ჩვენს გერასძროს ვამჩნევდით თუ რა ძეგრფასი იყავი ჩვენთვის და გვაპატიე თუ ხშირად არ გეუბნებოდით როგორ გვიყვარდი, გვიყვარსარ და გვევარები..."

ახალი წლის (1984) 1 იანვრის ოოვლიან დილას შიდა ქართლის გულში, ქ. გორში დაიბადა კიდევ ერთი გულმხრვალე ქართველი ბიჭი, გიორგი მურადაშვილი, რომელმაც ხალხსა და ქვეყანას მიუძღვნა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე.

მაშინ არავინ იცოდა, რომ იგი დაიღუპებოდა თავისი მამის პაარა გიორგის ძე მურადაშვილის დაბადების დღეს – 9 აგვისტოს. ასეთი ყოფილა მამა-შვილის ბედი. პაარა გარდაიცვალა 33 წლის ასაკში. იგი მსახურობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში.

გიორგის დედა, ქალბატონი თამარ შოთას ასული არსენიძე ამჟამად მუშაობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

უსაზღვრო დედის გულისტყვილი, სულ რაღაც 6 წლის ასაკში ბავშვის დაობლებით რომ იყო და არის გამოწვეული.

ქალბატონმა თამარმა წიგნისთვის წარმოდგენილ მასალას წინ წაუმდგვარა ასეთი სიტყვები: „საპატარძლოს კაბისგან შეკერილ სუდარაში გახვეული ობოლი ბიჭის ტრაგიკული ისტორია“.

„უკვდავები არ იბადებიან, მაგრამ ისე უნდა მოკვდე, რომ შემდეგ იცოცხლო“.

ქალბატონი თამარი იგონებს: „...დაამთავრა გორის №10 საშუალო სკოლა წარმატებით; იყო ძალიან აქტიური; მღეროდა, ცეკვაზდა, თამაშობდა ფეხბურთს... რომ იტყვიან – მის გარეშე არაფერი ხდებოდა... იყო ძალიან კეთილი და გულმოწყალე; სისტემატურად ცდილობდა დახმარებოდა გაჭირებულებს... ჩუქნიდა მათ ყველაფერს, რისი საშუალებაც კი ჰქონდა დედისერთა ბიჭს; ობლები ძალიან ეცოდებოდა თავადაც ობოლს; კერ იტანდა ტყუილს და ადამიანის დჩაგვრას; არ უყვარდა ჩხუბი; მშეიდობიანად ცდილობდა ყოველგვარი პრობლემის მოგარებას...“

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგიმ სწავლა

გააგრძელა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც დაამთვრა 2006 წელს იურისტის კვალიფიკაციის სტატუსით.

გიორგი, თავისი ნიჭისა და გამორჩეული ნებისყოფის წყალობით, უკვე მეორე კურსიდან სტაჟიორად მუშაობდა სამართალდამცავ ორგანოებში.

უპატივებების დეკანი (ბ. გრძელიძე) და სრულად დეკანაზი გორგი მურადაშვილს ახასიათებდნენ, როგორც: დისციპლინირებულ, აკადემიურად მოსწრებულ, კომუნიკაციულ, ყოფაქცევით გამორჩეულ და დამსახურებული ავტორიტეტის (პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტებს შორის) მქონე ახალგაზრდას.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გიორგიმ არ მოინდომა საგამოიყებო ორგანოებში შეთავაზებულ სამუშაოზე დასაქმება და მიაკითხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გორში დისლოცირებულ სატანკო ბატალიონს, გაიარა შესაბამისი ტესტირება და ჩადგა სამშობლოს დამცემლთა რიგებში. ორი წელი იმსახურა. ჩაფიქრებული ჰქონდა სამხედრო აკადემიაკული გაეგრძელებინა სწავლა, მაგრამ...

სამხედრო ნაწილში მაღლ სუსტელას შეაყვარა თავი თავისი გარჯით, გულისხმიურებით და საოცრად თბილი ურთიერთობებით. მეტსახელად „პეტსპ“ შეარქვეს, რადგან პატარა ჩანთაში მუდამ ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის აუცილებელი საშუალებები.

დედის სიტყვები: „...ზოგი ას წელს ცოცხლობს და იმდენს ვერ აქოთქს, რაც 24 წლის ბიჭმა შესძლო. ყოველ ნაბიჯზე მხვდება მისი სასიკეთო საქმეების განალი...“

დაიწყო 2008 წლის საშინელი ომი. გიორგი მიიწევდა ბრძოლის წინა ხაზისკენ, მაგრამ მას, როგორც დედისერთას, უფრთხილდებოდნენ და „ზურგში“ სტოვებდნენ.

მისი თანამებრძოლები ხშირად ურკეავდნენ ქალბატონ თამარს – არ ინერვიულოთ, აქ არის გორში, თავის ნაწილშიო. იყო მომენტი, როცა გიორგიმ თხოვნით მიმართა ხელმძღვანელობას, როდესაც ითხოვდა ბრძოლის წინა ხაზზე გაგზავნას, მაგრამ უარი უთხრეს. მოგვიანებით გიორგის ერთ-ერთი უფროსი სინაწელით იტყვის – „...ნებავ წამეუვანა წინა ხაზზე, აღარ დაიღუპებოდა სამხედრო ნაწილის საპარო დაბომბების დროსო...“

გიორგის დედა ქალბატონი თამარი იგონებს: „...9 აგვისტოს მამის საფლავზე მისვლას მთხოვდა... არ ვიცი, რა საოცრება მოხდა. მამის დაბადების დღეზე მის საფლავზე მისვლას ითხოვდა და სწორედ მამის დაბადების დღეს დაიბომბა სამხედრო ნაწილი... ამ დაბომბების დროს დაიღუპა 24 წლის გიორგი მურადაშვილი“.

გიორგი მურადაშვილი დაკრძალულია გორის რაიონის სოფ. ახალხიზაში, მამის გვერდით.

გიორგი მურადაშვილს მიღებული პქონდა (გარდაცვალების შემდეგ) მედლები „მხედრული მამაცობისთვის“ და „სამშობლოსათვის თავდადებული“, „ლომბგული“.

„...ჩემო გიორგი – დედისთვის ძალიან მძიმეა ერთადერთი შვილის დაღუპვა და ისიც მამის დაბადების დღეს... თავს იმით ვინუგეშებ, რომ გმირი ხარ და გმირები კი არასოდეს კვდებიან. შენ ისტორიის ნაწილი გახდი და ეს პატივი გარგუნა ლმერთმა... ამას რომ გწერ – ცრემლი მახრჩობს; ჩემო ერთადერთო, სანამ ვიარსებებ, მანამ ჩაუქრობელი იქნება სანთელი თქვენს საფლავზე... ვილოცებ, სანამ მეც არ წამოვალ თქვენთან... იმ დღეს ველოდები, როდესაც ძვლავ ერთად ვიქნებით დედა, მამა და შვილი... შეხვედრამდე ცათა სასუფეველში, ჩემო ტკივილო...“

გიორგის თანამებროლების მოგონებები:

ლადო ციცაგი (კაპრალი) გიორგი ლომისაძე (უფრ. სერგანტი), შალვა კობახიძე (კაპრალი):

„არ მახსოვეს თავის ჯადოსნურ ჩანთაში საჭირო წამალი არ პქონდა. სახეზე მუდამ დიმილი დასთამაშებდა. სამხედრო ნაწილი მას „PSP“-ედ უურო იცნობდა, ვიდრე გიორგით.

ვაჟაცი იყო, ნამდგილი ქართველი ვაჟაცი, მესხეთის შვილი.

წინა ხაზზე წასვლას ითხოვდა. უარი ვუთხარით. ნეტავი წაგვეზგანა; ის რომ ჩვენთან ყოფილიყო, იქნებ ვეღლაფერი სხვაგვარად დამთავრებულიყო.

აღმოგჩინეთ, რომ გიორგი ყველას მეგობარი იყო. ყველაზე რთულ სიტუაციაშიც კი ინარჩუნებდა დიმილს. მის ცოცხალს მზერას ვერას გამოაარებდა კაცი; კაცს, რომელსაც სილადის, სიცილისა და იუმორის განსახიერებად ვთვლიდით, თურმე, ჩვენზე მეტი დარდი, ფიქრი, კაეშანი და სევდაც პქონია, რაც მოგვიანებით გავიგეთ.

ნათელში ყოფილიყოს ქართველი ვაჟაცის სული“..

„...თუმცა ღრუბელი შემოევლო  
შავი და ქუფრი,  
არ შეუხრია, სიკვდილის წინ  
ამავი შუბლი...“  
(რაბინდრანათ თაგორი)

## სეფიშვილი შოთა

„ხშირად ცხოვრება  
სიმწარეს მატებს,  
შრომით და ბრძოლით  
დაქანცულ გულებს.“  
(ოვიდიუს ნაზონი)

1920 წლის 21 სექტემბერს გორის რაიონის სოფ. ახალხიზაში, ბაგრატ სეფიშვილისა და ანა მამუკაშვილის ოჯახის სიმყუდროვე დაარღვია თოვების სროლის ხმაშ – ქვექნას მოვალინა ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად შოთა დაარქვეს.

მაშინ არავინ იცოდა, თუ როგორი მონდომებული და მშრომელი კაცი შეემატა ქვექნას.

გადიოდა წლები და შოთა ეწავებოდა განათლებას, ეწვეოდა შრომას, სწავლობდა ცხოვრების დინამიკას და იძენდა ვაჟკაცი კაცის ნიშან-თვისებებს.

ბატონმა შოთამ ისწავლა სოფ. ახალხიზის საშუალო სკოლაში, ხოლო შემდეგ აიმადლა ცოდნა რუსეთში, სადაც დაეჭირდა ტოპოგრაფიის სპეციალობას.

ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო შრომითი ბიოგრაფია იქმნებოდა თანდათან და მტკიცედ. უბრალო ჩამონათვალიდანაც კი ნათლად წარმოჩინდება, როგორი განათლებისა და გამოცდილების სპეციალისტი გახლდათ ბატონი შოთა: სოფ. ახალხიზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; სოფ. შავშების (გორის რაიონი) კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი; დაუსწრებლად სწავლა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ეკონომიკის ფაკულტეტი); გორის რაიონის სოფებ ქვემო ხვითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; გორის რაიონის სოფ. ბერშუეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ქ. გორის სოცდაზღვევის სტრუქტურის ხელმძღვანელი (1961-1964); სახელმწიფო კონტროლის სისტემა (1964-1969);



ქ. პიატიგორსკი. 1985 წ.



ქ. მოსკოვი. შეილებთან ერთად. 1978 წ.

გორის საფინანსო განყოფილება (ცონტროლიორი); სტატისტიკის სამმართველოს უფროსი და სხვა და ა.შ.

ცხადია, რომ წლების განმავლობაში თანდათან იკაუებოდა და ყალიბდებოდა საკმაოდ მრავალფეროვანი და გამობრძებილი სამეცნიერო მუშაკი.

1947 წელს, მას შემდეგ,

რაც უზარმაზარ ქვეყანაში ფართოდ გაიშალა და

წარმატებით მიმდინარეობდა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშება და მრავალმხრივი აღმშენებლობითი ღონისძიებები, ბატონმა შოთამ თავისი მომავალი ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირა ნადია მჭედლიქეს.

პრინციპულმა, ენერგიულმა და მშრომელმა კაცმა კიდევ ერთი მძიმე უდელი დაიდგა ძლევამოსულ მხრებზე და შეუდგა ქართული ტრადიციული ოჯახის მშენებლობას.

სამი შვილი გაიზარდა თბილ და სტუმარობოვარე ოჯახში (ერთი გოგო და ორი ვაჟი). სამწუხაროდ, 1988 წელს ტრაგედია დაატყედა თავს შოთას ოჯახს. გარდაეცვალა ქალიშვილი. სულ რაღაც ხუთი წლის შემდეგ (1993 წ.) მოულოდნელად (გულის ინფარქტით) გარდაიცვალა ბატონი შოთა.

მძიმე ტკივილებმა შეარყია ქალბატონი ნადიას ჯანმრთელობა. ვაჟაცურად უძლებდ შვილისა და მეუღლის დაკარგვით მიყენებულ უმძიმეს ტრავმას და ვაჟიშვილების მზრუნველი მხარში დგომით, გამუდმებით ზრუნავდა ძვირფასი ადამიანების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

მოსიყვარულე მეუღლეები და მათი ქალიშვილი დაკრძალულნი არიან ქ. გორში, კვერნაქის სასაფლაოზე.

ნათელში ყოფილიყოს მათი სულები.

„ჩვენ გავლიერ ჩვენი ცხოვრების  
ჟამი და მოვისადეთ მოვალეობა,  
რომელიც ბედმა დაგვაკისრა...“  
(კარლ ფონ ლინეი. პერიფრაზი)


## ქურიძეები ვიქტორი და რეპაზი (მამა-შვილი)

„...სიტყვით და საქმით იცნობა კაცი,  
გისაც ლირსების უნდა ჩვენება,  
სულ ში ჩახედავს მსაჯული მეცნი -  
კაცის სულშია მისი მშვენება...“  
(მირზა შაფი)

ვიქტორ თევდორეს ძე ქურიძის მიერ დამსახურებულად მიღებული სახელმწიფო ჯილდოების ჩამონათვალიც კი, გონიერი ადამიანისათვის, გასაგები გახდება, თუ როგორი დონის ინტელიგენტოან გვაქვს საქმე: მედალი უმწიკვლო პედაგოგიური მოღვაწეობისათვის; მედალი შრომითი მამაცობისათვის; საპატიო ნიშნის ორდენი; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს „საპატიო სიგელი“ (იხალგაზრდობის აღზრდის საქმეში განსაკუთრებული წვლილისათვის); დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება (1962 წ.) და სხვა.

აღნიშნულ ჩამონათვალს თუ მივუმატებთ ბატონი ვიქტორის პირად ნიშან-თვისებებს (ნიჭიერი, ქნერგიული, პრინციპული, პუნქტუალური, მომთხოვნი და შორსმჭვრეტელი), მაშინ ადვილად მიხვდება მკითხველი, თუ როგორი პიროვნება დაკარგა საზოგადოებამ, ოჯახმა, კოლეგებმა და მეზობელ-მეგობრებმა 1991 წლის ივნისის თვეში (გარდაიცვალა 13 რიცხვში), როდესაც კვერნაქის სასაფლაოსკენ ბოლო გზაზე გააცილეს დვაწლმოსილი პიროვნება სამუდამო სასუფენელში განსახვენებლად.

ვიქტორ თევდორეს ძე ქურიძე დაიბადა 1903 წლის 9 მაისს ჩო-



ვიქტორი

ხატაურის რაიონის სოფ. ზომლეთში.

ბატონმა ვიქტორმა საშუალო განათლების მიღების შემდეგ, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და 1929 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ სამუშაო ადგილების მოკლე ჩამონათვალს, სადაც იმუშავა ბატონმა ვიქტორმა და თავისი ქვების წინაშე მოიხადა ვალი, როგორც ახალაგზრდობის აღზრდა-დაკვალიანების, ისე ფიზიკა-მათემატიკური სფეროს განვითარება-განმტკიცების საშეიძლიშვილო საქმეში: მათემატიკის მასწავლებელი თეორი წყაროს რაიონის სოფ. ლილი ენაგეთის საშუალო სკოლაში; გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის საშ. სკოლა; გორის სახოფლო-სამურნეო ტექნიკუმი; გორის ეწ. რკინიგზის და რუსული სკოლები; ქ. გორის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი (1944-1951 წ.წ.); გორის განათლების განტოვილების გამგე; 1954-1966 წლებში მათემატიკას ასწავლიდა პედაგოგიურ სასწავლებელში და გორის №9 საშუალო სკოლაში.

ბატონი ვიქტორი გახლდათ სკპ-ს წევრი. 1951-1954 წლებში იყო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, ასევე პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრი.

ბატონი ვიქტორი გამორჩეული იყო საქმისადმი მაღალი დონის კეთილსინდისიერებით და პატრიოტული მიღვომით.

სამწუხაროა, რომ დღეს აღარ გვხავს უკეთილშობილები პორვენება.

1933 წლს ბატონმა ვიქტორმა ოჯახი შექმნა უბრწყინვალეს ადამიანთან (ქიონია ნესტორის ასულ აბრამიძესთან) ერთად. მათ სტუმარობულებარე ოჯახში აღიზარდა ორი შვილი – რევაზი (1933-2017 წ.წ.) და მაყვალა (დაბ. 1938 წ.).


ნათელში ყოფილიყოს დვაწლმოსილი კაცის, ვიქტორ ქურიძის სული.

იმედია, მონაგარი არასოდეს დაივიწყებს მას.

სამწუხაროა, მაგრამ აღარც ბატონი ვიქტორის ვაჟიშვილი რევაზია ცოცხალი.

რევაზ ვიქტორის ქ ქურიძე დაიბადა ქ. გორში 1933 წლის 7 მაისს. მამის შესახებ უკვე ვიცით, რომ იგი იყო ფიზიკოს-მათემატიკოსი. რევაზის დედა კი, ქალბატონი ქიონია ნესტორის ასული აბრამიძე გახლდათ პროფესიით ქიმიკოსი.

რევაზმა დაამთავრა ქ. გორის №1 ვაჟთა საშუალო სკოლა (სწავლა დაიწყო №2 სკოლაში) და, როგორც იტყვიან ხოლმე – „კვიცი გვარზე



რევაზი

ხეისო“, გეზი აიღო თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პედაგოგიური კურსი 1956 წელს. შემდეგ იყო ასპირანტურა, საკანდიდატო დისერტაცია, ოცამდე სამეცნიერო ნაშრომი და დაუღლელი სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდვებობაზე.

1975 წლიდან სამეცნიერო მოღვაწეობას აგრძელებს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამედიცინო ფიზიკის, ბიოფიზიკისა და ინფორმატიკის კათედრაზე.

ბატონი რევაზი იყო მრავალი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონგრესის აქტიური მონაწილე ფიზიკის (ზოგადად) და სამედიცინო ფიზიკის დაწესებულების მიმავალი ცხოვრების თანამგზავრად აირჩია მერი მირიანის ასული გაგუა. მათ აღზარდეს ორი შვილი – ნათია (1967 წ.) და გიგა (1969 წ.).

რამდენიმე სიტყვით ასე ახასიათებდნენ ბატონ რევაზს: მომთხოვნი, უადრესად მიზანმიმართული და გამრჯვე, პრინციპული და აქტილური მობილი, ოჯახზე შეკვარებული კაცი.

სამწუხაროდ, დღეს ადარ გვყავს ის, მართლაც რომ, უნიკალური შესაძლებლობების მქონე პიროვნება.

რევაზ ვიქტორის ძე ქურიძე გარდაიცვალა 2017 წლის 16 აგვისტოს 84 წლის ასაკში.

დაქრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე. ნათელდები იყოს მისი სული.

„...მწამს, რომ უგვდავთა  
საქმეს ვერ წაშლის.  
უწყვეტი ქროლგა საუბუნეთა...“

# ჯირკველიშვილი არჩილი

„...განათლებული ქაცი სანთელია:  
თავსა თვისსა დასწევას და  
სხვათა გზას გაანათებს...“  
(სულხან-საბა. პერიფრაზი)


უმცროსი ქალიშვილის მოგონება:  
არჩილ სოლომონის ძე ჯირკველი-  
იშვილი – დაიბადა გორის რაიონის  
ულამაზეს სოფელ ვარიანში 1929  
წლის 1 იანვარს. დედა – პელაგია  
ივანეს ასული ლომიძე, დიასახლისი  
იყო, არჩილი მათი მეორე შვილი გახ-  
ლდათ. სოლომონსა და პელოს უკვე  
ჰყავდათ უფროსი ქალიშვილი ოლდა  
და არჩილის შემდეგ კიდევ სამი შვი-  
ლი შეეძინათ: ვალერიანი (ვალიკო),  
ვერიკო და ვახტანგი. სამწუხაროდ,  
ვერაგმა სენმა ადრე იმსხვერპლა ახ-  
ალგაზრდა პელაგიას სიცოცხლე...

არჩილი 11 წლის იყო, როცა დედა გარდაიცვალა და ხუთი და-ქმა  
დაობდნდა.

ორივე შშობლის მოვალეობა მამამ – სოლომონ (სონკა) ჯირკვ-  
ელიშვილმა იტვირთა. სოლომონი შშობლები ადამიანი იყო, განსა-  
კუთრებული თანდაყოლილი ჭკუა-გონებით და სიბრძნით გამოირ-  
ჩეოდა. თუ ვინმეს რაიმე პქონდა გასარკვევი, ტყუილ-მართალის  
გასარჩევად, სოლომონი მიმართავდნენ... სონკასთვის რთული აღ-  
მოჩნდა წვრილშვილი ოჯახის გაძლოლა და მან, მოგვიანებით, ცო-  
ლად შეირთო მარიამ ჩაგელიშვილი, რომელსაც არჩილი დიდი სიყ-  
ვარულით და პატივისცემით იხსენებდა ხოლმე.

არჩილმა წარმატებით დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის სახე-  
ლობის საშუალო სკოლა სოფელ ვარიანში. იგი ძალიან ამაყობდა  
თავისი წარმომავლობით და მისთვის საყვარელ ვარიანს, ხშირად,  
იაკობისა და დედაენის სამშობლოდ მოიხსენიებდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ, არჩილმა გადაწყვიტა სწავლა  
უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა. იხსენებდა ხოლმე: „მა-  
მასთან ერთად ჩამოვედით თბილისში, ბორჯომის ვაგზალზე (ასე  
ერქვა მაშინ) და მამამ მითხრა – ესაა, შვილო, თბილისი და მეტი  
მეც არაფერი ვიციო“.



არჩილ ჯირკველიშვილი



ციალა ნინო შვინდი

თავდაპირველად, როგორც „სოფ-ლელმა ბიჭმა“, გადაწყვიტა სასოფ-ლო-სამეურნეო ინსტიტუტში ესწავლა, ჩაირიცხა კიდეც და სწავლაც დაიწყო. „თბილისში რომ დავდიოდი, ძალიან მომწონდა უნივერსიტეტის შენობა, ვო-ცნებობდი იქ სწავლაზე, თანაც მაშინ რექტორი დიდი ნიკო კეცხოველი იყო“ – იხსენებდა მამა...

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტ-ში პირველი კურსის დახურვის შემ-დეგ, ინსტიტუტიდან თავისი საბუთები წამოიღო, ზაფხული სოფელში გაატარა და სექტემბერში, თავისი საბუთებით, პირდაპირ უნივერსიტეტში გამოცხადდა. მაშინვე ეტუობოდა, რო-გორი მიზანდასახული, პრინციპები და მიზანსწრაფელი ადამიანი იყო...

„უნივერსიტეტში უთხრეს: „ბოდიში ყმაწვილო, აქ სწავლა თუ გინ-დათ, მისაღები გამოცდები უყნდა ჩააბაროთო“. იმ წელს გამოც-დები უკვე დასრულებული იყო. რაღას იზამდა? მომავალი წლის გამოცდებისთვის მოემზადა, კვლავ წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და 1949 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახდა. მამა ძალიან ამაყობდა, რომ თვით დიდმა ნიკომ გამოაცხადა მისი გვარი და უნივერსიტეტის სტუდენტობა მიუღოცა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, არჩილ ჯირკველიშვილი დაუბრუნდა თავის მშობლიურ შიდა ქართლს. მუშაობა დაიწყო ქა-ლაქ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატში. მას შემდეგ, მოუ-ლი თავისი შეგნებული ცხოვრება, პირნათლად ემსახურა მისთვის უკვე მშობლიურ ქალაქ გორს.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ისეთ საპასუხისმგებლო თანამდე-ბობებზე, როგორიცაა:

- ქ. გორის ბამბეულის ქსოვილების საწარმოო კომბინატის პარ-ტიული კომიტეტის მდივანი;
- სახალხო კონტროლის გორის საქალაქო კომიტეტის თავმჯ-დომარე;
- აღმასქომის თავმჯდომარის მოადგილე და მრავალი სხვა...
- 1980 წლიდან პენსიაზე გასვლამდე კი – სახელმწიფო ბანკის გორის განყოფილების მმართველი იყო.

მამა იყო განათლებული, შინაგანად უაღრესად გაწონასწორებული, მოწესრიგებული, ნაკითხი და მშრომელი ადამიანი. თავისუფალ დროს, მუდამ წიგნი ეჭირა ხელში, ბევრს კითხულობდა. საოცარი იყო — როგორ შეეძლო, რომ კარგად სცოდნოდა რუსული ენა, თავისი ურთულესი გრამატიკითა და მართლწერით. ხშირად „გადამიმოწმებია“ და ყოველთვის გაკვირვებული ვრჩებოდი ენის მისეული ესოდენ ლრჩა და საფუტკლიანი ცოდნით. მამა საინტერესო მოსაუბრე იყო, შეეძლო ლამაზად წერაც და გახლდათ საქართველოს უურნალისტთა კაგშირის წევრი; ასევე აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად პროფესიონალურ დონეზე თამაშობდა ჭადრაქს.

გარდა ამისა, არჩილ ჯირკველიშვილი, მისი უსაყვარლესი ბელადის — იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დიდი თავებისმცემელი გახლდათ. ზედმიწვნით იცოდა და მუდამ ინტერესით ეცნობოდა ყველაფერს, რაც იწერებოდა თუ ვრცელდებოდა. წლების მანძილზე იყო საქართველოში არსებული სტალინის საზოგადოების თავმჯდომარე.

ყველა პოზიციაზე, სადაც კი იმუშავა, ყოველთვის თავდაუზოგად და მთელი არსებით ემსახურებოდა თავის საქმეს, საყვარელ ქალაქ გორს და გორელებს. მუდამ ჰქონდა წესიერი, პრინციპული, განათლებული, ინტელიგენტის, საქმეში უკომპრომისო, თუმცა შემწინარებელი და ჰუმანური ადამიანის სახელი.

1955 წელს არჩილმა იქორწინა ციალა დავითის ასულ ნინოშვილზე. მათ მყარი, სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ოჯახი შექმნეს, რომელიც სამომავლოდ ერთ-ერთ სამაგალითო ოჯახად ჩამოყალიბდა ქალაქ გორის სინამდვილეში.

ციალა დავითის ასული ნინოშვილი დაიბადა 1930 წლის 8 ნოემბერს გორის ერთ-ერთ ძირძველ ოჯახში. მან დაამთავრა გორის ჰედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი და მუშაობდა ჰედაგოგად. 1963 წელს ციალამ მუშაობა დაიწყო ქ. გორის №3 ბაგა-ბაღში აღმზრდელ-მასწავლებლად, მოგვიანებით კი, ამავე ბაგა-ბაღის გამგედ დაინიშნა და თითქმის 30 წელი იმუშავა აღნიშნულ პოზიციაზე. №3 საბავშვო ბაგა-ბაღი ერთ-ერთი გამორჩეული და საჩვენებელი ბაღი იყო იყო გორში, განთქმული საუცხოოდ ორგანიზებული ზეიმებით და სამაგალითო დისციპლინით, რაშიც ციალა ნინოშვილი-ჯირკველიშვილის დამსახურება უდაოდ დიდი იყო.

არჩილმა და ციალამ აღზარდეს სამი შვილი: ზურაბი, თამარი და მანანა. მათ შვილები წესიერ, განათლებულ და შრომისმოყვარე ადამიანებად ჩამოაყლიბებს, ჩაუნერგებს სამშობლოსა და ადამიანების სიყვარული და ამ კუთხითაც პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე. უფროსი შვილი — ზურაბ არჩილის ძე ჯირკველიშვილი,

პროფესიით ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია. 2014-2017 წლებში ზურაბ ჯირგველიშვილი იყავებდა ქ. გორის მერის თანამდებობას და იგი ქალაქის თანამედროვე ისტორიაში, პირველი არჩეული მერი გახდათ. ზურაბს პყავს მეუღლე ლარისა კოროლი-ჯირგველიშვილი და ორი ვაჟიშვილი – არჩილი და გიორგი. თამარი – ქალაქ გორში ცნობილი და ყველასთვის საყვარელი, პროფესიონალი ქიმი გახდავთ, დაოჯახებულია, პყავს მეუღლე როსტომ (რომი) მისანაშვილი და სამი სასახლი შვილის აღმზრდელია (გიგა, სოფიკო და რატი). ჯირგველიშვილების ოჯახის მესამე და უმცროსი შვილი გახდავთ მანანა ჯირგველიშვილი, რომელიც პროფესიით ასევე ქიმია. ცხოვრობს და მუშაობს თბილისში და პყავს ერთი ვაჟიშვილი – რობინზონ ლოცულაშვილი.

2014 წლის 27 აპრილს, კვირაცხოვლობა დღეს, გამოხნიისას, როდესაც უკურნებელი სენიორ დაღლილი მამა გარდაიცვალა, სწორედ იმ მომენტისთვის, დედას და მამას ერთად 59 წელი ჰქონდათ ნაცხოვრები... 59 წელი, თითქოს არაფერია მარადისობისთვის, მაგრამ ძალზედ ხანგრძლივი ცხოვრებისეული გზა, ერთად განვლილი, თავისი ბევრი სიხარულით და წარმატებით, თუმცა ხანდახან, ალბათ, სირთულეებითა და წაბორძისებულითაც, მაგრამ ერთობით და ლირსეულად...

იმ პერიოდში დედაც მძიმედ იყო ავად, ფაქტობრივად ვერ გააცნობიერა მეუღლის გარდაცვალების ფაქტი, თუმცა შემდეგ, როდესაც შედარებით გამოკეთდა, დედა ხშირად ეძახდა მამას ცხადშიც და უმეტესად კი ძილში: „არჩილ, არჩილ...“ ვიდრე 2017 წლის 18 ნოემბერს დედას გულის ძეგრაც არ შეწყვიტა წესეულმა სენმა...

არჩილი და ციალა დაკრძალულები არიან ქალაქ გორის სასაფლაოზე, ერთმანეთის გვერდით, ერთად, ისე როგორც გაატარეს მთული თავიანთი შეგნებული ცხოვრება... ირგვლივ სიმშვიდე სუფეეს... ვერხვები ირხევიან და მარადისობის მდუმარებით მოცულ სასაფლაოს მედიდურებობას სძენენ...

ჩემი ძეირვასო და საფიცარო მშობლებო, იძინეთ მშვიდად, დაქმებუქი იყოს თქვენს მართალ და ვალმოხდილ გულებზე დაყრილი მშობლიური გორის მიწა! ჩვენ, თქვენი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და დიდი მონაგარი, მუდამ ვეცდებით ლირსეულად გავაგრძელოთ არჩილ და ციალა ჯირგველიშვილების ჭეშმარიტად თბილი და სიკეთით სავსე ქართული ოჯახის საუკეთესო ტრადიციები!

**„ფუ შენ, ცრუო საწუთოო, რად არ მძულდი, რად მიყვარდი?!**  
**რატომ აგრე უწყალო ხარ, სასიკვდილოდ არ შეგწყალდი?!**  
**(დ. გურამიშვილი)**

## ჯოლბორდი შოთა



საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მამაკაცების დიდ უმრავლესობას აქვს მეტსახელი (განსაკუთრებით საქართველოში), რომელსაც ხალხი არქმევდა ამათუმ პიროვნებას მისი ხასიათის, მეტკვიდრეობითობის, გარეგნული იერის ან შინაგანი რაიმე ნიშან-თვისების გამო.

შოთა ძალიან კარგად თამაშობდა ფეხბურთს და იმდროისათვის მსოფლიოში ნომერ პირველად აღიარებული, ბრაზილიელ ფეხბურთელის, პელესთან დაკავშირებით პას ეძახდნენ „პატარა პელე“ ან „შავ მარგალიტს“.

შოთა ჯოლბორდი დაიბადა 1935 წლის 2 მაისს გიორგი ჯოლბორდისა და ნინა ქარელის ოჯახში, სადაც ასევე იზრდებოდნენ შოთას დედმამიშვილები: სერგო, ოთარი და მარიამი.

ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა საოცარი აქტიურობით, ენერგიულობითა და სწავლისადმი სწრაფვით. ისწავლა და დაამთავრა როგორც პოლიტექნიკური ტექნიკუმი, ასევე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ელექტროტექნიკის სფეროს სპეციალობით.

შოთა ჯოლბორდი 1970 წლამდე მუშაობდა გორის კვლევით-სამეცნიერო ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. თავი გამოიჩინა ნოვატორული ნიჭით – პქნება რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოგონება და რაციონალური წინადადება. მუშაობაში იყო სწრაფი და მიზანმიმართული. საბჭოთა კვშირის სხვადასხვა ქალაქებში მივლინებებში ყოფნისას, ხშირად ხელმძღვანელობდა ელექტრო-სამონტაჟო და საექსპლუატაციო ჯგუფების მუშაობას და წარმატებითაც.

შოთა ჯოლბორდს დიდი წვლილი მიუძღვის ქ. გორისა და რაიონის ელექტროქსელების სისტემების წარმატებულ მუშაობაშიც. ამ

სფეროში იმოლვაწა მრავალი წელი და დამსახურებულად მოიპოვა სამთავრობო ჯილდოები, პრემია-სიგელები თუ დიპლომები. შოთა ჯოლბორდი ამაყად იდგა გორის ტექნიკური ინტელიგენციის რიგებში. შეეგანილია ენერგეტიკის საპატიო წიგნში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მისი ტექნიკური გამოგონების ელემენტებს დღესაც წარმატებით იყენებენ შესაძამისი ელექტრომუშაკები.

შოთა ჯოლბორდმა ქვეყნას დაუტოვა ორი შვილი – ლევანი (ფიზიკა-მათემატიკოსი. ცხოვრობს რუსეთში. ჰყავს შვილი გიორგი, რომელიც და-



ჯილდოებულია მხატვრობის ნიჭით. მისი ნახატები გამოფენილია მოსკოვის ერთ-ერთ სამსატვრო გალერეაში. იგი ჯერ 15 წლისაც არ არის). შოთას ქალიშვილმა თეა ჯოლბორდმა წითელი დიპლომით დაამთავრა ცხინვალის პედისტიტუტი. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს თბილისში დაწყებითი კლასების პედაგოგად (№143 სკოლა); აღიარებულია წამყვან სპეციალისტად. თეას ჰყავს სამი ქალიშვილი: თამარ ბერუაშვილი (პროკურორი) და ტექნიკები მარიამი (ფინანსთა მინისტრი, №177 სკოლა) და ნინო (საერთაშორისო ურთიერთობათა პოლიტოლოგი).

შოთა ჯოლბორდი გახლდათ საოცარი ადამიანური სითბოს მატარებელი პიროვნება. იგი იყო საუკეთესო მამა, პაპა, მეუღლე, მეზობელი და მეგობარი კაცი. დაჯილდოებული იყო მიმზიდვები და საინტერესო იუმორის გრძნობით.

უკებურთის გარდა ძალიან უყვარდა და კარგადაც თამაშობდა: ჭადრაქს (სეანსში მოგებული აქს სტუმრადმყოფი ცნობილი მოჭადრაკისათვის, გიორგაძისთვის), ბილიარდს, მაგიდის ჩოგბურთს, „პრეფერანსს“ და ჯოკერს“ და ა.შ. ბუნებით ემოციურ პიროვნებას ძალიან უჭირდა წაგებასთან შეგუება, ღიზიანდებოდა და ჭირვეულობდა.

შოთა ჯოლბორდს ძალიან უყვარდა თავისი მმისშვილები. არ გაუშვებდა რაიმე საჩუქრის მირთმევის შესაძლებლობას და ამას აკეთებდა დიდი სიყვარულის თანხლებით.

სამწუხაროა, რომ შოთა ჯოლბორდი აღარ (ვეღარ) დააბიჯებს მშობლიური ქალაქის, გორის ქუჩებში.

შოთა ჯოლბორდი გარდაიცვალა 2002 წლის 12 მარტს. და-კრძალულია გორის კვერნაქის სასაფლაოზე სამების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, პანთეონში.

ნაოცლში ყოფილიყოს მისი სული.

## სარჩევი

|                                   |    |
|-----------------------------------|----|
| ავტორისაგან                       | 3  |
| წინათქმა                          | 4  |
| ანანიაშვილი ოთარი                 | 6  |
| ბოჭორაძე ვალერიანი                | 8  |
| გურგენიძე სტეფანე                 | 10 |
| ვანიშვილი ვახტანგი                | 13 |
| თავზარაშვილები - ზურაბი და დავითი | 15 |
| თედელური კონსტანტინე              | 21 |
| კვირიკაშვილი გიორგი, რაზმაძე ანო  | 23 |
| ლაცაბიძე ნოდარი                   | 25 |
| მეყანწიშვილი უშანგი               | 28 |
| მურადაშვილი გიორგი                | 30 |
| სეფიშვილი შოთა                    | 34 |
| ქურიძეები - ვიქტორი და რევაზი     | 36 |
| ჯირკვლიშვილი არჩილი               | 39 |
| ჯოლბორდი შოთა                     | 43 |

წიგნის წინა სამი ნაწილი გამოვიდა სახელწოდებით:  
„...და ვანთებ სანთელს...“

### წიგნის პირველ ნაწილში შეტანილია:

აბულაძე ალექსი, აკოფაშვილი ვახტანგი, ამბროლაძე ვახტანგი, ბაზანდარაშვილი ავთანდილი, ბარამიძე ბადრი, ბასიშვილი გიორგი, ბექაური გენო, ბიძინაშვილი ალექსანდრე, ბურჯანაძე თენგიზი, გაგნიძე ბეჟანი, გამგებელი ზურაბი, გოგოლაძე გივი, გვერდწითელი თეიმურაზი, გუდაძე დავითი, დაბრუნდაშვილი გრეგამი, დადიანი დავითი, დადიანი ვალიკო, ზაზუნაშვილი ვანო, ზარნაძე ჰამლეტი, თურაზაშვილი კობა, კერესელიძე რობერტი, კობერიძე აფენდი, კობერიძე გურგენი, კოშუაშვილი მირიანი, კუთხაშვილი გიორგი, ლალებაშვილი გიორგი, ლაცაბიძე მიხეილი, მაისურაძე გივი, მერებაშვილი გურამი (გულკა), მესროფოვი სეირანი, მირუაშვილი გრიგოლი (გრიშკა), მუკნიაშვილი გიორგი, ნადირაშვილი გიორგი, ნადირაძე ლანგო, ნუცუბიძე გურამი, ოქროპირიძე ოთარი, რობაქიძე ჯემალი, სამადალაშვილი ავთანდილი, სოსანიძე ვანო, ფაჩოშვილი ვანო, ქილიტაური თენგიზი, ღონდაძე თემური, ყეინოშვილი ოთარი, შაფოთოშვილი მიხეილი, შერმადინი გივი, ჩალაური ყარამანი, ჩიტაია გიორგი, ჩუბინიძე მერაბი, წკრიალაშვილი იოსები, ხოჯევანიშვილი სიკო, ხუციშვილი ედუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი.

### წიგნის მეორე ნაწილში შეტანილია:

აბაიაძე ივანე, აბრამიშვილი გიორგი, ადეიშვილი რომანი, არშაკუნი მათე, ბიჩინაშვილი ზაური, გაბუნია გურამი, გერმანიშვილი ასლანი, გიორგაძე ანზორი, გოცირიძე ბაგრატი, გოცირიძე როლანდი, თავაქალოვი კარლო, კარაპეტიანი ზავენი, კიკაბიძე თეოფილე, კიკნაძე ვლადიმერი, კლიმიაშვილი ვაჟა, კორინთელი ოთარი, მაკრახიძე მირიანი, მეგრელი გივი, მუკნიაშვილი გიორგი, ნუცუბიძე გურამი, წკრიალაშვილი იოსები, ხოჯევანიშვილი სიკო, ხუციშვილი ედუარდი, ჯაფარიძე ჯუმბერი.

მანიშვილი ზაალი, ნადირაძე პეტრე, ოქროპირიძე სოფიო, პატარიძე გიორგი (ბონდორი), გიგაური თამარი, სომხიშვილი ანზორი, ქორჩაშვილი ალექსი, ქურდოვანიძე თემო, ჩუხრუკიძე ევგენია, ჩხიცვაძე ნიკოლოზი, ხირსელი თამარი, ჭელიძე ოთარი (გუჩურა), ხუბულური ირაკლი, დედა-შვილი ჯულიეტა ხაჩიძე ხუბულურისა და ზურაბ ხუბულური.

წიგნის მესამე ნაწილში შეტანილია:

არსენიძე შოთა, ბერუაშვილი დურმიშხანი, ელბაქიძე ლევანი (ლეო), ელუაშვილი თენგო, ზარნაძე ანზორი, ზაუტაშვილი ზურაბი, თეთრუაშვილები, მაჭარაშვილი თამარი, მეცხვარიშვილი შამილი, ონიაშვილი ალექსანდრე (საშა), ონიაშვილი მერაბი, თინათინ გობე-ჯიშვილი-ონიაშვილი, რატიშვილი ვასიკო, რუბაშვილი დალი, სოსანიძე გივი, ქამუშაძე ანზორი, ჩალაური ვლადიმერი, ჭელიძე ვაჟა, ხარშილაძე დავითი, ჯავახიშვილი შოთა, ჯაფარიძე შალვა, იხსენებს ზაურ თეთრუაშვილი.

წიგნის მეოთხე ნაწილში შეტანილია:

გალუსტაშვილი სოკრატი, თეთრუაშვილი ნუნუ, თოთლაძე შალვა, კახნიაშვილი ვასო, მახარობლიძე შოთა, მცურავიშვილი პავლე, ნაყოფია ჯემალი, ნოზაძე გიორგი, უიუიაშვილი ლევანი, ქარელი კობა, ქარელი მიხეილი, ცერცვაძე გიორგი, ჯამბრიშვილი ივანე.

წიგნის მეხუთე ნაწილში შეტანილია:

ათუნაშვილი ნიკო, ანანიაშვილი მიხეილი, ანთაძე ლიანა, ანთაძე მიხეილი, ასპანაძე სოსო, ბაინდურაშვილი თენგიზი, ბერუაშვილი ლალი, გერმანიშვილი ანზორი, ზვადიშვილი ქეთევანი, ქრისტესიაშვილი ლუარსაბი, ირა და იდა, კავლელაშვილი მარიამი, კარიჭაშვილი ნიკოლოზი, კეჩუაშვილი ლილი, ლეკიშვილი შალვა, მაისურაძე ემილი, მჭედლიშვილი იროდიონი (ირაკლი), სახვაძე სოგრატი, სრესელი

რუსუდანი, ტატულაშვილი გურამი, ტატულაშვილი თინათინი, ტატულაშვილი ისაკი, ტატულაშვილი ომარი, ფუტკარაძე ოლია, ქორქაძე რუსუდანი, ქუთათელაძე ოთარი, ყანჩაველი ნუგზარი, ჩიტაძე ალექსანდრე, ძველაია ვასილი, ჯამბრიშვილი ამირანი (გივი).

### წიგნის მეექვსე ნაწილში შეტანილია

აბრამიშვილი ვაჟა, აბულაძე ლეონიდე (ლენო), აივაზოვი გივი, ბეგლარიშვილი გიორგი, გაბაშვილი ზაალი, გოგოლაძე სულიკო, გოდერძიშვილი შალვა, დონგუზაშვილი ჯამლეთი, დონლუზაშვილი ზურაბი, დონლუზაშვილი გურამი, ზუმბულიძე ნოდარი (ბიჭიკო), კაკაურიძე შოთა, კოვალენკო გივი, კოპინაშვილი გიორგი, მაკრახიძე ასლანი, მაკრახიძე სოლომონი, მახარაშვილი თამარი, მახარაძე ამირინდო, მჭედლიშვილი არჩილი, ნამორაძე მარიამი, ნინიაშვილი გურამი, სირიბეგოვი ანა, ტატიშვილი ნარგიზა და ნადირაშვილი ავთანდილი, ფოცხვერაშვილი ვასილი, ქილიტაური გიორგი (გია), ქილიტაური მარიამი (მარიკა), ყანჩაველი ლუიზა და ცერაძე გივი, ჩიკოიძე ვერიკო, ნაოჭაშვილი რუსუდანი, ჩიხლაძე ნაისი, ცოხნიაშვილი ანზორი, ხორგუაშვილი იოსები, ხუციშვილი გიორგი, ხუციშვილი თეიმურაზი.

### წიგნის მეშვიდე ნაწილში შეტანილია

ანანიაშვილი ნოდარი, ბიჩინაშვილი (მაკრახიძე) ოლღა, გაბუნია ნინა, გოლოშვილი მარგალიტა, გუდაძე ნოდარი, ეფრემიძე მირიანი, ზედგინიძე პანტელი, იუფეროვები – ნიკოლოზი და იორამი, კანდელაკი თარაში, კაჭკაჭიშვილი დავითი, ჩოხელი ქსენია, კოვზიაშვილი ალბერტი, მამუკაშვილი ნადია, შოშიაშვილი შალვა, მაძულაშვილი ანო, მართაშვილი ლეილა, მეზვრიშვილი გიორგი (გია), მთვარელიძე ეთერი, რატიშვილი ალბერტი, ტატიშვილი ალექსანდრე, ურჯუმელაშვილი ტარიელი, ფერშანგიშვილი ოთარი, ქარუმიძე

ოთარი, ქობლიანიძე გურამი, ლვინიაშვილი ნოდარი, ჩიტაშვილი პეტრე, ჩიხლაძე დიმიტრი, ჩოჩიშვილი შოთა, ჭილლაძე მერი, ჭილლაძე ომარი, ხადური იულონი, ხადური ჯიმშერი, ხარაბეგილი ალექსანდრე (საშა), ხაჩირაშვილები – ანზორ და ზაზა, ხუციშვილი შალვა, ჯაფარიძე ომარი.

### წიგნის მერვე ნაწილში შეტანილია

აბულაძე როლანდი, ალავერდაშვილი თეიმურაზი (ბიჭიკო), ალდგომელაშვილი მიხეილი, ახობაძე ელგუჯა (გუჯა), ბეჟანიშვილი ზაური, ბიძინაშვილი ამირანი, ბრეგვაძე ომარი, გელდიაშვილი ვახტანგი, გელდიაშვილი ნადია (ნადეჟდა), გიუაშვილი შალვა, დათიაშვილი თენგიზი (ჭოლა), დეკანოსიძე ეთერი (ნატალია), დიდებელი ნაირა, ელიზბარაშვილი ფრიდონი, ვანიშვილი თემური, ზაუტაშვილი ზინა, ზაუტაშვილი ციური, თოროზაშვილი გურამი, კიკნაძე ზაური, მეზვრიშვილი არტემი, პაპელიშვილი გიორგი, რუსიშვილი კარლო, სახვაძე ვალერიანი (ვალიკო), ტლაშაძე ვახტანგი, ქალიაშვილი ნიკოლოზი, ქიტიაშვილი მარინე, ყანჩაველი დარეჯანი, ჩიკვაიძე მიხეილი, ჭილლაძე ავთანდილი, ხიზანიშვილი სერგო, ხიზანიშვილი შალვა (ციცა), ჯვარიძე შოთა.

### წიგნის მეცხრე ნაწილში შეტანილია

აბუაშვილი ლეილა, ავაზნელი შოთა, ასანიძე შოთა, აწყარუნაშვილი მარიამი, ბიძინაშვილი დავითი და ცოტნიაშვილი ნაზი, გიგაია ვლადიმერი, გიგაია ნიკოლოზი, გოგიაშვილი ივანე (ოთარი), გრიქუროვი ვაროლია და მერაბიშვილი ბესარიონი, დავარაშვილი ისაკი, დარჯანია ბორისი, ზაუტაშვილი ანა და ბიძინაშვილი ივანე, ზაუტაშვილი მარგალიტა და როსტომოვი გაბრიელი, თავაძე გიორგი, იასამნიძე თეიმურაზი, იასამნიძე იური და დალაქიშვილი სირანა, ნასყიდაშვილები – თეიმურაზი და ნიკოლოზი, საყვარელიძე დარიკო, სუხიშ-

ვილი ზაქარია, ტერტეროვი გივი, ქარუმიძები, ქობლიანიძე მიხეილი (მიშა), შიუკაშვილი მორისი, შუღლიაშვილი გურამი, შუღლიაშვილი როლანდი, ცერცვაძე ლილი და რაზმაძე თენგიზი, წერიალაშვილი გიორგი და ბიბილაშვილი ნაზო, ხოდელი შალვა და მაისურაძე რუსულდანი, ხორგუაშვილი პავლე, ხოჯევანიშვილი ნუგზარი, ჯავახიშვილი ვახტანგი, ჯავახიშვილი როზა (როზალია).

### წიგნის მეათე ნაწილში შეტანილია

აბუაშვილი მედეა, ბერიშვილი თამარი და კიტოვანი შალვა, გრძელიშვილი თენგიზი, ელანდიშვილი რამაზი, კარიჭაშვილი იზაბელა (იზო), კბილაშვილი თამარი, კეჩხუაშვილი გაბრიელი, კილჩაუსკაიტე ნიოლე (ნინო) მაჭავარიანისა, ლაბაძე ოთარი, მახარაშვილი გიორგი, მებადური ანზორი, მწითურიძე ნიკოლოზი, ოდოსაშვილი ნათელა და კვიწინაძე გრიშა, რატიშვილი თამარი და ავაზნელი შოთა, სამადალაშვილი ელენე, სირანაშვილი ნიკოლოზი (ნუკრი), ტლაშაძე გენო, ღვინიაშვილი ზამირა, ციხისთავი დალი, ჭილლაძე ილია (ცაცო), ხითარიშვილი ვასილი, ხინჩიკაშვილი თენგიზი, ხირსელები – ამბროსი და ვიქტორი (ვიკა); სამი მუშკეთიშვილი: ჩხუბიანიშვილი ალექსანდრე (სანდრო), ჩხუბიანიშვილი გიორგი, ჭანკოტაძე რევაზი; ღირსელი შვილები: სუხბაშვილი გიორგი (ჟორა), ბზიშვილი რევაზი, ნადირაძე კონსტანტინე (კონო), მაზმიშვილი რამზესი, ჯავახიშვილი რევაზი, ონიაშვილი ნუგზარი, გოხელაშვილი ალექსი.

### წიგნის მეთერთმეტე ნაწილში შეტანილია

აბრამიძე ნანა, არბოლიშვილი გურამი და გაფრინდაშვილი ნინო (ნუნუ), ბერიშვილი ნელი, გოგშელიძე ენდი, გორგიშელი ალექსი (საშა), დევიძე ოთარი, დვალიშვილი შოთა, ზაუტაშვილი გიორგი და რაზმაძე ელენე, ზაუტაშვილი როინი, კობერიძე თამაზი (შოთა),

მეყანწიშვილი გიორგი, მუმლაძე ზურაბი (ზურა), მურადელი ვანო, მჭედლიშვილი გივი, მჭედლიშვილი ლერი, სოსანიძე ვახტანგი, ქურდაძე რეზო, ქურდაძე შოთა, ღოლიჯაშვილი არსენა, ღოლობერიძე შოთა, ყველაშვილები ნიკოლოზი და ვლადიმერი, შაქარაშვილი ვახტანგი და ანა თამარაშვილი, ჩარუევი ნოდარი, ჩიქოვანი შოთა, ჩიხლაძე ნოდარი, წინიკაშვილი ომარი, ჭულუხაძე შალვა და შეტკოვა გალინა, ხაჩიძე ირაკლი, ხმალაძე გივი (კამო), ჯავახიშვილი ზეიადი, ჯოჯიშვილი ნელი.



ვახტანგ ჭარბოტაძე დაიბადა ქ. თელავში 1933 წელს. აქვე დაამთავრა ვაჟთა მეორე საშუალო სკოლა ოქროს მედლით. თბილისის უნივერსიტეტის (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქ. გორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობებზე (ლაბორანტიდან სწავლულ მდივნამდე), ასევე რამდნიმე სამრეწველო ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, ღირსების მედლის კავალერი, აკაკი წერეთლის პრემიის ლაურეატი. ავტორია ათეულობით სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასევე ოთხასამდე პუბლიცისტური წერილის. გამოცემული აქვს 50-მდე წიგნი ლიტერატურის სხვადასხვა ჟანრში